პროლეტარებო უგელა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 143 (12057)
კვირა,
25
ივნისი,
1961 წ.

ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოძმე ყაზახი ხალხის დიდი ღღესასწაული

ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულითადად მიესალმებიან და ულოცავენ რესპუბლიკის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს სახელოვან ისტორიულ თარიღს — ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის 40 წლისთავს.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვება და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის შექმნა მობრუნების პუნქტი იყო ყაზახი ხალხისა და რესპუბლიკის ყველა ეროვნების მშრომელთა ბედში. დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ მათ მოუტანა ნამდვილი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, სამუდამოდ გაათავისუფლა საუკუნეობრივი მჩაგვრელებისაგან — ცარიზმის, ხანებისა და ბაებისაგან, უცხოელი მტაცებელი ექსპლოატატორებისაგან, შესაძლებლობა მისცა უშუალოდ გადასულიყვნენ სოციალიზმზე, განვითარების კაპიტალისტური სტადიის გაუვლელად.

ყაზახეთის კომუნისტური პარტია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მებრძოლი და გამოწრთობილი რაზმია. ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებულმა კომუნიზმის საქმის უსაზღვროდ ერთგულმა ყაზახეთის კომუნისტურმა პარტიამ ყაზახი ხალხი და ყველა მშრომელი დარაზმა ამ მხარის სოციალისტური გარდაქმნისათვის, მისი ეკონომიკისა და კულტურის აყვავებისათვის საბრძოლველად. სამოქალაქო ომის მრისხანე წლებში, კონტრრევოლუციური ნაციონალისტური ალაშ-ორდის წინააღმდეგ ბრძოლის მრისხანე წლებში და განსაკუთრებით დიდი სამამულო ომის პერიოდში ყაზახეთის შვილები, ყველა საბჭოთა ადამიანთან ერთად, გმირულად იბრძოდნენ ფრონტებზე, თავდადებით შრომობდნენ ზურგში და თავიანთი დიდი წვლილი შეიტანეს საბჭოთა სამშობლოს მტრებზე ისტორიულ გამარჯვებაში.

40 წლის მანძილზე მეფის რუსეთის ჩამორჩენილი განაპირა მხარე ყაზახეთი გადაიქცა დიდად განვითარებული მრეწველობის, მსხვილი მექანიზებული სოციალისტური სოფლის მეურნეობის, თანამედროვე მეცნიერებისა და მოწინავე კულტურის რესპუბლიკად.

მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობამ 40 წლის მანძილზე 57-ჯერ გადააჭარბა 1913 წლის დონეს. ამ წლებში შეიქმნა ქვანახშირის დიდი აუზები ყარაგანდასა და ეკიბასტუზში, ფერადი მეტალურგიის გიგანტები ბალხაშში, უსტ-კამენოგორსკში, ჯეზკაზგანში, ჩიმკენტში, ლენინოგორსკში. რესპუბლიკაში სწრაფად ვითარდება შავი მეტალურგია, მანქანათმშენებლობა, ქიმიური, კვების, მსუბუქი მრეწველობა, ენერგეტიკა, საშენ მასალათა წარმოება. ორი უკანასკნელი წლის მანძილზე ამუშავდა სოკოლოვსკ-სარბაის სამთო გამამდიდრებელი კომბინატის პირველი რიგი, ყარაგანდის მეტალურგიული ქარხანა, მწყობრში ჩადგა ბუხტარმის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატები.

უმაგალითო ცვლილებები მოხდა სოფლის მეურნეობაში. პრიმიტიული, მომთაბარე მეურნეობიდან ყაზახეთმა დიდი ნაბიჯი გადადგა სოციალისტური სოფლის მეურნეობისაკენ. განვითარებული მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობისაკენ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქ მოკლე ვადაში ათვისებულია 25 მილიონ ჰექტარზე მეტი უამირი და ნასვენი მიწები, შექმნილია 780 ახალი მძლავრი საბჭოთა მეურნეობა, რამაც ყაზახეთი ჩააყენა ჩვენი ქვეყნის მარცვლეულის უდიდეს რაიონთა რიცხვში. უამირის წარმატებით ათვისება პარტიის ლენინური პოლიტიკის უდიდესი გამარჯვებაა, მთელი საბჭოთა ხალხის ისტორიული გმირობაა. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები, სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი, კიდევ მეტი გულმოდგინეობით იბრძვიან მიწათმოქმედების კულტურის შემდგომი აღმავლობისათვის, მოსავლიანობის გაზრდისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მკვეთრი ზრდისათვის. ყაზახეთის სოფლის მეურნეობისა და მთელი საწარმოო ძალების შემდგომ განვითარებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ყამირის მხარემ, რომელიც რესპუბლიკაში შეიქმნა.

უდავოა მიღწევები მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში, ყაზახი ხალხის კულტურისა და მეცნიერების განვითარებაში. დაძლია რა კულტურული ჩამორჩენილობა, ყაზახეთი გახდა მთლიანი წიგნიერების რესპუბლიკა. შექმნილია სკოლების, უმაღლესი სასწავლებლების, კლუბების, ბიბლიოთეკების, კინოთეატრების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებათა დიდი ქსელი. შექმნილია ყაზახეთის სსრ მეცნიერებათა აკადემია, სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებათა ფართო ქსელი. ყაზახეთში დიდად განვითარდა საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება, აღიზარდნენ დიდი ეროვნული პოეტები და პროზაიკოსები, მსახიობები, კომპოზიტორები და მხატვრები, რესპუბლიკაში გამოდის 460-ზე მეტი გაზეთი და ჟურნალი რამდენიმე ენაზე. მშრომელთა ყოფაცხოვრებაში დამკვიდრდა რადიო და ტელევიზია.

ყაზახეთში, ისევე როგორც მთელ ჩვენს ქვეყანაში, საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩამოყალიბდა ახალი ადამიანი, კომუნიზმის აქტიური მშენებელი. აქ აღიზარდა მებრძოლი მრავალეროვანი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, შექმნილია საკუთარი საბჭოთა მაღალკვალიფიციური ინტელიგენცია. უმაგალითოდ შეიცვალა ყაზახი ქალის სახე. დაბეჩავებული და უუფლებო, როგორიც იგი წარსულში იყო, ყაზახი ქალი ახალი საზოგადოების თანასწორუფლებიანი და თავდადებული მშენებელი გახდა.

რესპუბლიკის მშრომელები სამართლიანად ამაყობენ თვალსაჩინო წარმატებებით, რომლებიც ყახაზეთმა მოიპოვა ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ახალი ცხოვრების მშენებლობაში.

შესანიშნავი წარმატებანი რესპუბლიკის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში თვალსაჩინო მაგალითია კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებისა, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების მძლავრ კავშირში გაერთიანებულ ხალხთა მეგობრობის დიადი ძალისა, მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავი იდეების გამარჯვებისა. ახლა საბჭოთა ხალხების ერთიან, ძმურ ოჯახში, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ყაზახეთის მშრომელები თავდადებით იბრძვიან პარტიის XXI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, კომუნისტური საზოგადოების მშენებლობაში ახალი მიღწევებისათვის. სულ უფრო ფართოდ ჩაღდება სოციალისტური შეჯიბრება სკკპ მომავალი XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ ორდენოსანი ყაზახეთის მშრომელები კვლავაც აქტიურად იბრძოლებენ ეკონომიკისა და კულტურის აღმავლობისათვის, უზრუნველყოფენ შვიდწლიანი გეგმის, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებას და ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ხალხებთან ერთად თავიანთ ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეში.

გაუმარჯოს ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და მის შრომისმოყვარე და ნიჭიერ ხალხს!

გაუმარჯოს ყაზახეთის კომუნისტურ პარტიას — სკკპ მებრძოლ რაზმს!

დაე განმტკიცდეს და აყვავდეს საბჭოთა კავშირის ხალხთა ძმური მეგობრობა და შეკავშირება!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელსაც მტკიცე რწმენით მიჰყავს საბჭოთა ხალხი კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომპარტიის 40 წლისთავისადმი მიძღვნილი ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოსა და ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში. ფოტო ს. სმირნოვისა.

ნ. ს. ხრუშჩოვი ალმა-ატაში

ალმა-ატა, 22 ივნისი. (საკდისი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელიც ალმა-ატაში იმყოფება, რესპუბლიკის ხელმძღვანელთა თანხლებით საღამოს დაათვალიერა სინთეზური მასალებით აგებული კარვების ახალი კონსტრუქციები.

ნ. ს. ხრუშჩოვი დაინტერესდა იმით, თუ რამდენად მოხერხებული და ტრანსპორტაბელურია ეს კარვები. კერძოდ, მან გამოთქვა აზრი, რომ მიზანშეწონილია კარვების კარკასის გასაკეთებლად გამოიყენონ ბამბუკი.

ახალი კარვები შექმნეს საბჭოთა სპეციალისტებმა ნ. ს. ხრუშჩოვის რჩევით, რაც მან მისცა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ალმა-ატაში წელს გაზაფხულზე.

ალმა-ატა, 23 ივნისი. (საკდისი). დღეს დილადანვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი, რომელიც ალმა-ატაში ჩამოვიდა ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომპარტიის 40 წლისთავის დღესასწაულზე, გაემგზავრა მაღალი მთის ისიკის ტბაზე. რომელიც მდებარეობს 60 კილომეტრზე ყაზახეთის დედაქალაქიდან, 1780 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან ტიანშანის ქედის განტოტებებში.

ტბისაკენ მიმავალი გზა თვალწარმტაცი ადგილებში გადის. მის ორივე მხარეს გაშლილია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ვენახები, ვაშლის ბაღები, სიმინდის ნათესები. სოფლების მცხოვრებნი გულითადად მიესალმებიან ძვირფას სტუმარს. ხანმოკლე შეჩერება მიჩურინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ნ. ს. ხრუშჩოვი ყოფილა წინათ, როცა ყაზახეთში ჩამოდიოდა. ამ მეურნეობაში ერთსულოვნად შრომობენ მრავალი ეროვნების წარმომადგენელნი.

სოფლის ქუჩებში ბევრი ხალხია. ნ. ს. ხრუშჩოვი გულთბილად მიესალმება კოლმეურნეებს. პენსიონერმა მაკსიმ კირილეს-ძე ზაიკამ და კოლმეურნემ ლიუბოვ ალექსანდრეს ასულმა რიაბინჩმა ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვეს პურ-მარილი. 72 წლის მწყემსმა სალიმბაი კეისიბაევმა მას აჩუქა მწვანე ხავერდის ჩაპანი და მელიის ბეწვით გაწყობილი ქუდი. მოწონების შეძახილებში ნიკიტა სერგის-ძემ ჩაიცვა ეროვნული ყაზახური ტანსაცმელი, მადლობა გადაუხადა საჩუქრისათვის და ბედნიერება და დიდი წარმატებები უსურვა კოლმეურნეებს შრომაში.

მანქანები მიდიან ისიკის ხეობით. გზის ერთ-ერთ უბანზე ნიკიტა სერგის-ძეს ხვდება პიონერთა ხაზი. სვეტლანა სალიმოვა სალუტს აძლევს და ეპატიჟება ნ. ს. ხრუშჩოვს ბანაკში. დაპირდა რა ბავშვებს, რომ უკან დაბრუნებისას ეწვევა მათ, მან გოგონა გვერდით მოისვა მანქანაში.

ღრმა კლდოვან ჭალაში ლივლივებს ისიკის ტბის ზურმუხტოვანი წყალი.

ტბაზე კატერით მოგზაურობის შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი მთის იალაღზე შეხვდა სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მწყემსებს. ისიკის ტბიდან ნ. ს. ხრუშჩოვი გაემგზავრა „ისიკის“ პიონერთა ბანაკში. აქ საზეიმო ხაზზე — ამ თვალწარმტაცი კუთხის 400-ე ნორჩმა მობინადრემ გადასცა ძვირფას სტუმარს პიონერული სალამი, მიულოცა სოციალისტური შრომის გმირის მესამე ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოება.

ჩვენი ენბეკში-ყაზახეთის რაიონის სკოლებში, უამბობს მეექვსეკლასელი ლიუბა სკრიბნიკოვა, 40 ეროვნების ბავშვები სწავლობენ, ყველანი მეგობრულ ოჯახად ცხოვრობთ. გვიყვარს შრომა. ჩვენ, დასძენს გალია შებალდინა, მოგვყავს სიმინდი და ყურძენი, ვზრდით ფრინველს. წელს გაზაფხულზე რაიონის მოსწავლეებმა დარგეს 15 ათასი ძირი ხეხილი და დეკორაციული მცენარე.

ბავშვები აღფოთქვამენ ნ. ს. ხრუშჩოვს ისწავლონ და იშრომონ ლენინურად, კომუნისტურად. ბანაკში სტუმრობის სამახსოვროდ პიონერებმა ნ. ს. ხრუშჩოვს აჩუქეს ფოტოალბომი სურათებით, რომლებიც ასახავენ მათს დასვენებას, აგრეთვე ირმის ნუკრი და მთის თიკანი.

ნ. ს. ხრუშჩოვი გულითადად გამოეშვიდობა ბავშვებს, ურჩია მათ ბეჯითად ისწავლონ და ემზადონ შრომისათვის, რათა გახდნენ კარგი მუშები, კოლმეურნეები, სპეციალისტები, ღირსეულად შეცვლონ თავიანთი მამები და ძმები.

ყაზახეთის ნორჩ პიონერებს დიდხანს დაახსოვდებათ მათთვის ეს დიდი სადღესასწაულო დღე.

ისიკის ტბაზე მოგზაურობაში ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. ა. კუნაევი, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. შ. შარიპოვი და ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ს. დ. დაულენოვი.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის მეორმოცე წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე ქალაქ ალმა-ატაში 1961 წლის 24 ივნისს

ძვირფასო ამხანაგებო, ძვირფასო მეგობრებო!

ნება მიბოძეთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით და დავალებით მხურვალედ მოგილოცოთ თქვენ და თქვენი სახით რესპუბლიკის ყველა მშრომელს ღირსშესანიშნავი თარიღი — ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის მე-40 წლისთავი. **(მჭუხარე ტაში.)**

სახელოვანი წლისთავი, რომელსაც თქვენ ზეიმით აღნიშნავთ დღეს, დიდი მოვლენაა ჩვენი დიადი მრავალეროვანი სამშობლოს ცხოვრებაში. ძმური მეგობრობით და თანამშრომლობით, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეებით გაერთიანებული ჩვენი ქვეყნის ხალხები მხურვალედ უსურვებენ ყაზახეთის მშრომელებს ახალ, კიდევ უფრო მნიშვნელოვან წარმატებებს თქვენი რესპუბლიკის განვითარებაში, ჩვენს საერთო დიად საქმეში — კომუნიზმის მშენებლობაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ყაზახეთის რესპუბლიკის მეორმოცე წლისთავი აღინიშნება დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში. მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოვდება შეჯიბრება პარტიის მომავალი XXII ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის. კომუნისტური მშენებლობის საერთო საქმეში დიდი წვლილი შეაქვთ აგრეთვე ყაზახეთის მშრომელებს.

საბჭოთა ყაზახეთი ერთ-ერთი უდიდესია ჩვენი ქვეყნის თანასწორუფლებიან სოციალისტურ რესპუბლიკებს შორის. მას აქვს უზარმაზარი ეკონომიური პოტენციალი. და შემთხვევითი როდია, რომ ყაზახეთს ხატოვნად უწოდებენ ბუნებრივ სიმდიდრეთა საგანძურს. მეფის რეჟიმის დროს ეს სიმდიდრე მკვდარი კაპიტალი იყო; საბჭოთა ხელისუფლებამ მშრომელთა სამსახურში ჩააყენა იგი. მხოლოდ ექსპლოატაციისა და ჩაგვრისაგან თავისუფალმა ხალხმა შეძლო ასე მოკლე ვადაში აემოქმედებინა ეს სიმდიდრე, აკირათიანად მოეხმარა იგი.

ავიღოთ ნაყოფიერი ყამირი მიწების უდიდესი მასივები, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში სრულიად გამოუყენებელი იყო. ახლა მთელი საბჭოთა ხალხის საერთო მეცადინეობით ათობით მილიონი ჰექტარი ყამირი მიწები გაცოცხლდა და დიდძალ პურს აძლევს ჩვენს ქვეყანას. რაოდენი გმირული საქმეებია დაკავშირებული ამ ბუმბერაზული ამოცანის გადაჭრასთან!

დიახ, საბჭოთა ყაზახეთის მშრომელებს, აღნიშნავენ რა თავიანთი რესპუბლიკის მეორმოცე წლისთავს, ბევრი რამ აქვთ საამაყო, ბევრი რამ აქვთ სასიხარულო! რევოლუციამდელი ყაზახეთი ხომ რუსეთის ერთ-ერთი ყველაზე ჩამორჩენილი განაპირა მხარე იყო. ბაებისა და ფეოდალების წყალობით, რომლებიც შეუზღუდველად ბატონობდნენ მომთაბარე მესაქონლეთა ცხოვრებასა და ქონებაზე, ყაზახი ხალხის ხვედრი იყო ეკონომიური და კულტურული ჩამორჩენილობა. სამომთაბარეო მესაქონლეობას, რომლებიც აქ მეურნეობის მთავარი დარგი იყო, უაღრესად პრიმიტიული წესით წარმართავდნენ და მთლიანად დამოკიდებული იყო ბუნების კაპრიზებზე. მაგრამ ყაზახი ხალხი არ ურიგდებოდა მძიმე ხვედრს, რომელიც მას განუმზადეს მჩაგვრელებმა. იგი ოცნებობდა ახალ, ბედნიერ ცხოვრებაზე და იბრძოდა მისთვის.

მხარის განვითარებაზე, ყაზახი ხალხის ისტორიულ ბედზე დიდი პროგრესული გავლენა მოახდინა ყაზახეთის შეერთებამ რუსეთთან. გამოჩენილი ყაზახი დემოკრატი-განმანათლებლები ჩოკან ვალიხანოვი, იბრაი ალტინსარინი, აბაი კუნანბაევი მხურვალედ მიესალმებოდნენ ყაზახი ხალხის ურთიერთობასა და მეგობრობას რუს ხალხთან და ჩვენი სამშობლოს სხვა ხალხებთან. „შეისწავლე რუსების ენა და კულტურა. ეს ცხოვრების საშუალებაა“, — მოუწოდებდა ყაზახებს ყაზახური ლიტერატურის ფუძემდებელი აბაი.

რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ყაზახეთში ფართოვდებოდა და ვითარდებოდა იმ ბრძოლასთან განუყოფელ კავშირში, რომელსაც მთელი რუსეთის მუშათა კლასი და გლეხობა ეწეოდა მეფის თვითმპყრობელობის, კაპიტალისტებისა და მემამულეების ბატონობის, ადგილობრივი ბაებისა და ხანების მიერ ველური ჩაგვრის წინააღმდეგ. ამ ერთობლივ ბრძოლაში ყალიბდებოდა და იწრთობოდა ყაზახთა, რუსთა, ყველა ეროვნების მშრომელთა ძმური, საბრძოლო კავშირი.

ნაყოფიერი ნიადაგი ჰპოვა ყაზახეთში ლენინის დიადმა იდეებმა. ეს იდეები მასებში შეჰქონდათ მარქსისტულ წრეებს, სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთა სათავეში ბევრ ადგილას იდგნენ მეფის თვითმპყრობელობის მიერ ამ მხარეში გადმოსახლებული რუსი ბოლშევიკები.

ყაზახეთის მშრომელთა პოლიტიკურ ბრძოლაში დიდი და სერიოზული სკოლა იყო რუსეთის პირველი 1905-1907 წლების რევოლუცია. მან მძლავრი ბიძგი მისცა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. პეტროპავლოვსკის, სემიპალატინსკის, ურალსკისა და სხვა ქალაქების ბოლშევიკები, მიუხედავად უდიდესი სიძნელეებისა, ავრცელებდნენ ლენინის ნაწარმოებებს, ბოლშევიკურ პრესას, აწყობდნენ ყაზახ და რუს მშრომელთა ერთობლივ გამოსვლებს.

1916 წელს ყაზახეთის მშრომელებმა მასობრივი რევოლუციური აჯანყება მოაწყეს მეფის მთავრობისა და ადგილობრივი ყაზახი ბაების წინააღმდეგ. აჯანყებას ხელმძღვანელობდა ყაზახი ხალხის გმირი ამანგელდი იმანოვი. და თუმცა ეს აჯანყება წარმატებით არ დაგვირგვინებულა, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე მკაფიოფურცელია ყაზახეთის ხალხთა განმათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიაში.

ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა შვა დიდმა ოქტომბერმა, რომელმაც ჩვენი ქვეყნის ხალხები. მათ შორის ყაზახი ხალხიც, გაათავისუფლა საუკუნეობრივი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით ახალი ეპოქა დაიწყო კაცობრიობის ისტორიაში — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე დიადი გადასვლის ეპოქა.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის ყაზახეთის მშრომელთა გმირული ბრძოლის მსვლელობაში დაწინაურდნენ მასების ისეთი ნაცადი წინამძღოლები, როგორიც იყვნენ ა. ჯანგილდინი, ი. დუბინინი, ტ. ბოკინი, პ. ვინოგრადოვი, ა. იმანოვი, ა. მაიკუტოვი, ი. უშანოვი, ა. აიტიევი, ს. სეიფულინი, ი. შუგაევი, ტ. უტეპოვი, ნ. მონინი და სხვები.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რუსი მუშებისა და გლეხების, წითელი არმიის ნაწილების დახმარებით ყაზახეთის მშრომელებმა გაანადგურეს კონტრრევოლუციის გაერთიანებული ძალები, განდევნეს ისინი თავიანთი მიწაწყლიდან და შექმნეს რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების პირობები. ყაზახეთში საბჭოთა ხელისუფლების მტრების განადგურებაში დიდი როლი შეასრულეს ისეთმა შესანიშნავმა სამხედრო და პოლიტიკურმა მუშაკებმა, როგორიც იყვნენ მ. ვ. ფრუნზე, ვ. ვ. კუიბიშევი, ვ. ი. ჩაპაევი, დ. ა. ფურმანოვი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებასა და განმტკიცებაში, უცხოელი ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციონერების განადგურებაში ყაზახეთის მშრომელებს უდიდესი დახმარება გაუწიეს პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და პირადად ვ. ი. ლენინმა, რომელსაც დიდად ახარებდა სოციალისტური განვითარების გზაზე დამდგარი ხალხების ყოველი წარმატება.

1920 წლის 26 აგვისტოს სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და რუსეთის სფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დეკრეტით შეიქმნა ყირგიზეთის (ყაზახეთის) ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა, ხოლო 1920 წლის ოქტომბერში გაიხსნა ყაზახეთის საბჭოების პირველი დამფუძნებელი ყრილობა.

საბჭოთა ყაზახეთის მშრომელებმა მოკლე ისტორიულ ვადებში თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწიეს თავიანთი

(გაგრძელება მე-2 გვერდზე).

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(გაგრძელება)

რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. აზაზეთმა უკან მოიტოვა ბევრი ქვეყანა, რომლებიც წინათ ეკონომიური და კულტურული განვითარების დონით მთელი საუკუნეებით წინ უსწრებდნენ მას.

ახორციელებდნენ რა ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას, კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ფართო სამრეწველო მშენებლობის გეზი აიღეს. საბჭოთა კავშირის ეკონომიურად უფრო განვითარებული ჯრაიონების მხარდაჭერისა და რუსეთის მუშათა კლასის უანგარო დახმარების მეოხებით რესპუბლიკაში სწრაფად ვითარდებოდა მრეწველობა; უდაბურ ადგილებში მსხვილი ინდუსტრიული ცენტრები გაჩნდა.

მრეწველობის ზრდასთან ერთად რესპუბლიკაში სწრაფად იზრდებოდნენ ეროვნული მუშათა კადრები, ვაუკაცდებოდა მუშათა კლასი: მუშები მოწინავე ტექნიკას, უაღრესად რთულ ტექნოლოგიურ პროცესებს ეუფლებოდნენ. ასე გაბათილდა ბურჟუაზიული ეკონომისტების მონაჩაზანი, თითქოს მომთაბარე ხალხებს არ შეეძლოთ გაუძლონ სამრეწველო წარმოების რიტმს და აითვისონ მაღალი სამრეწველო ტექნიკა.

საკუთარი ეროვნული კადრების აღზრდაში უდიდესი როლი შეასრულა ძმურმა დახმარებამ, რომელიც აზაზეთს გაუწია ყველა საბჭოთა ხალხმა. ჩვენი ქვეყნის უდიდესი ინდუსტრიული ცენტრებიდან აქ გამოგზავნეს კადრის მუშები, გამოცდილი ინჟინრები, მეცნიერი მუშაკები. მაგალითად, მოსკოვის ოლქის მრეწველობამ 1930 წელს იკისრა აზაზეთის რესპუბლიკის მრეწველობის შეფობა და გამოგიგზავნათ სპეციალისტები, საჭირო მოწყობილობა, დონბასიდან აზარგანდაში სამუშაოდ ჩამოვიდა ასობით კვალიფიციური მეშახტე, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. ათასობით მუშა, ტექნიკოსი, იპჟინერი ჩამოვიდა აზაზეთში ლენინგრადიდან, ურალის სხვადასხვა ქალაქებიდან. და რესპუბლიკის მრეწველობამ სწრაფი ტემპებით იწყო განვითარება.

თუ 1929 წელს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში მხოლოდ 30 ათასი მუშა და მოსამსახურე იყო დასაქმებული, 1940 წელს მრეწველობის მუშა-მოსამსახურეთა რიცხვი 158 ათასამდე გადიდდა, ხოლო 1960 წელს — 563 ათასამდე, ანუ 19-ჯერ მეტია, ვიდრე 1929 წელს იყო.

ჩვენი სოციალისტური წყობილების სიცოცხლისუნარიანობის უაღრესად სერიოზული შემოწმება იყო დიდი სამამულო ომი. აზაზეთის მშრომელები, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხი, აღდგნენ თავისუფლებისა და ბედნიერების დასაცავად. მათ თავი გამოიჩინეს როგორც მედგარმა მეომრებმა ჭტრების წინააღმდეგ ბრძოლაში, ბეჯითმა და მტკიცე ადამიანებმა თავდადებულ შრომაში.

საბჭოთა არმიის რიგებში იყო საბჭოთა აზაზეთის ასეულ ათასობით შვილი. აქედან 369 კაცი, მათ შორის 101 აზახი, დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი წოდებით.

მთელი ჩვენი ქვეყანა იცნობს თქვენი თანამემამულეების — გმირების ივანე პანფილოვის, ვასილ კლოჩკოვის, ტულეგენ ტოხტაროვის, ივანე პავლოვის, მანშუკ მამეტოვას, ალია მოლდაგულოვას და ბევრ სხვათა უკვდავ სახელებს.

ამხანაგებო! ჯერ კიდევ საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ვ. ი. ლენინმა განჭვრიტა თქვენი მხარის მომავალი და დაინახა მისი დაუშრეტელი შესაძლებლობანი და პერსპექტივები. სრულიად რუსეთის საბჭოების VII კრიალთის დელეგატებთან — აზახეთის წარმომადგენლებთან საუბარში მან თქვა: „დიახ, მდიდარია თქვენი მხარე. დიდი შესაძლებლობანი გაქვთ. უნდა განვავითაროთ ეს მხარე. და უეჭველად განვავითარებთ, ხალხში უდიდესი ძალებია“.

დიდი ლენინის ეს წინასწარმეტყველება ახდა. აზახეთის რესპუბლიკამ თავისი სამრეწველო განვითარებით შორს მოიტოვა ისეთი კაპიტალისტური სახელმწიფოები, როგორიც არიან თურქეთი და პაკისტანი. 1960 წელს, მაშინ, როცა თითქმის სამჯერ ნაკლები მოსახლეობა ჰყავდა, ვიდრე თურქეთს, და ცხრაჯერ ნაკლები, ვიდრე პაკისტანს, აზახეთმა თითქმის ოთხჯერ მეტი ელექტროენერგია აწარმოვა, ვიდრე თურქეთმა, და რვაჯერ მეტი, ვიდრე პაკისტანმა. ამქამად რესპუბლიკაში აწარმოებენ ხუთჯერ და კიდევ მეტ ელექტროენერგიას, ვიდრე აწარმოებდნენ მთელ მეფის რუსეთში 1913 წელს.

რესპუბლიკაში ქვანახშირის ამოღება გაიზარდა 1913 წლის 90 ათასი ტონიდან 32 მილიონ ტონამდე 1960 წელს. სხვანაირად რომ ვთქვათ, აზახეთი ახლა იძლევა მეტ ქვანახშირს, ვიდრე იძლეოდა მთელი რევოლუციამდელი რუსეთი 1913 წელს. დიდძალ ტყვიას, თუთიას, სპილენძსა და სხვა ფერად და იშვიათ ლითონებს აწარმოებენ რესპუბლიკის ფერადი მეტალურგიის საწარმოები. შექმნილია ფერადი მეტალურგიის ნამდვილი გიგანტები ბალხაშში, უსტ-კამენოგორსკში, ჯეზკაზგანში, ჩიმკენტსა და ლენინოგორსკში.

აზახეთში სწრაფად იზრდება ქიმიური მრეწველობა, რომლის პირმშოა ჯერ კიდევ მეორე ხუთწლედში აშენებული აქტიუბინსკის ქიმიური ქარხანა. ფოსფატის ნედლეულის უმდიდრესი საბადოს ბაზაზე ყარა-ტაუში აშენდა ჯამბულის მძლავრი სუპერფოსფატის ქარხანა. უკანასკნელ წლებში ყარაგანდის ეკონომიურ რაიონში ამუშავდა კარბიდის ქარხანა, რომელიც უდიდესია ჩვენს ქვეყანაში.

რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქცია 1960 წელს 1913 წელთან შედარებით 57-ჯერ გაიზარდა. ამ ხნის განმავლობაში აშენდა დაახლოებით 2 ათასი დიდი სამრეწველო საწარმო, მათ შორის ათობით მძლავრი შახტი ყარაგანდაში, ქვანახშირის ჭრილები ეკიბასტუზში, ფერადი მეტალურგიის ქარხნები, სოკოლოვს-სარბაის სამთოგამამდიდრებელი კომბინატი, ყარაგანდის მეტალურგიული ქარხნის პირველი რიგი. აქვე უნდა ითქვას, რომ შვიდწლედის დამლეგისათვის ეს ქარხანა გახდება ჩვენი ქვეყნის შავი მეტალურგიის ერთ-ერთი უდიდესი საწარმო, ხოლო მის მიერ გამოდნობილი თუჯი ერთ-ერთი ყველაზე იაფი იქნება სსრ კავშირში.

აზახეთს სამართლიანად უწოდებენ დიდ სამშენებლო მოედანს. მთელი თქვენი რესპუბლიკა ახალშენებათა ხარაჩოებშია. წლითიწლობით იზრდება კაპიტალური მშენებლობის ტემპები. თუ ომამდელ 1940 წელს კაპიტალდაბანდებანი სახალხო მეურნეობაში სახელმწიფო გეგმით გამოყოფილი სახსრების ხარჯზე შეადგენდა 168,4 მილიონ მანეთს (ფასების ახალი მასშტაბით), 1960 წელს ათვისებული იყო 1874,3 მილიონი მანეთი, ანუ 11,1-ჯერ მეტი. მიმდინარე წელს სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ასიგნებულია ორ მილიარდ მანეთზე მეტი. კაპიტალური მშენებლობის მოცულობით აზახეთი მესამე ადგილზე გამოვიდა ჩვენს ქვეყანაში.

ჩვენი ქვეყნის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპია შვიდწლიანი გეგმა. საბჭოთა კავშირის ხალხებმა უკვე მოიპოვეს შესანიშნავი წარმატებანი შვიდწლედის განხორციელებაში.

საკმარისია ითქვას, რომ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით შვიდწლედის პირველ ორნახევარ წელიწადში ჩვენს ქვეყანაში გამოშვებულია 15 მილიარდი მანეთით (ახალი ფულით) მეტი ღირებულების სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე დასახული იყო გამოსაშვებად ამ პერიოდისათვის შვიდწლიანი გეგმით. უნდა აღინიშნოს, რომ შვიდწლედის პირველ ორნახევარ წელიწადში წარმოებული იყო იმდენივე სამრეწველო პროდუქცია, რამდენიც მიგიღეთ მთელ მეხუთე ხუთწლედში (1951-1955 წლებში).

მებრძოლურად ასრულებენ შვიდწლედის დავალებებს აზახეთის რესპუბლიკის მშრომელები; სწრაფად ვითარდება რესპუბლიკის მრავალდარგოვანი ეკონომიკა, სწრაფი ტემპებით იზრდება წარმოების საშუალებათა წარმოება.

შვიდწლედის ორ წელიწადში მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება გაიზარდა 28 პროცენტით ნაცვლად შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებული 22 პროცენტისა. სასიამოვნოა იმის მოსმენა, რომ რესპუბლიკის ბევრი სამრეწველო საწარმოს კოლექტივებმა გაიჩალეს სოციალისტური შეჯიბრება პარტიის XXII ყრილობის აღსანიშნავად და წარმატებით შეასრულეს შვიდწლედის მესამე წლის ხუთი თვის გეგმა.

შვიდწლედისათვის ბრძოლის წინა ხაზზე დგას აზახეთის ათასობით მუშა და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი. მთელი ხალხის პატივისცემით სარგებლობენ სოციალისტური შრომის გმირები ამხანაგები ბაშირ ნურმაგამბეტოვი—ყარაგანდის ქვანახშირის კომბინატის № 31-ბის შახტის კომუნისტური შრომის კომბაინის ბრიგადის ხელმძღვანელი, ელემენ ბაიგაზიევი — აზახეთის მეტალურგიული ქარხნის მარტენის ღუმელის მეფოლადე, ნიკოლოზ მუსტაფას-ძე ახმეტჯანოვი — უსტ-კამენოგორსკის ვ. ი. ლენინის სახელობის ტყვია-თუთიის კომბინატის საშახტო ღუმელის უფროსი ჩამტვირთავი, ნადირ შაგიროვი — ბაიჩუნასის ნავთობსარეწის ოპერატორი, ლეონიდე თევდორეს-ძე პეტროვი სოკოლოვს-სარბაის სამთოგამამდიდრებელი კომბინატის მეექსკავატორე. წარმატებით შრომობენ კომუნისტური შრომის ბრიგადებში ზირიანოვკის ტყვიის კომბინატის მასლიანსკის მაღაროს გვირაბგამყვანთა ბრიგადირი აგლულა გაბიტისძე სუფიანოვი, ყარაგანდის ქვანახშირის კომბინატის № 1 ვერტიკალური შახტის კომბაინის ბრიგადის ხელმძღვანელი მიხეილ თევდორეს-ძე ბონდალეტოვი და მრავალი, მრავალი სხვ.

რესპუბლიკის მუშათა კლასის სახელოვანი შრომითი საგმირო საქმეები რწმენას გვინერგავენ, რომ შვიდწლიანი გეგმის დავალებანი არა მარტო მთლიანად, არამედ მნიშვნელოვანი გადაჭარბებითაც შესრულდება.

მაგრამ ამისათვის საჭიროა კიდევ ბევრი და დაძაბული შრომა. რესპუბლიკის მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა შვიდწლიანი გეგმით უნდა გადიდდეს 2,7-ჯერ, ხოლო რკინის მადნის მოპოვება—6,2-ჯერ. ფოლადის გამოდნობამ უნდა გადააჭარბოს 1958 წლის დონეს დაახლოებით 17-ჯერ. დიდად განვითარდება ფერადი მეტალურგია. შავი სპილენძის გამოდნობა გადიდდება ერთიორად, ხოლო რაფინირებულისა —სამჯერ.

აზახეთში საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს წელიწადში 32 მილიონ ტონაზე მეტი სიმძლავრის ქვანახშირის შახტები და ჭრილები. ელექტროენერგიის გამომუშავებამ 1965 წელს უნდა მიაღწიოს 26 მილიარდ კილოვატ-საათს, ესე იგი სამჯერ გადიდდეს 1958 წელთან შედარებით.

ამხანაგებო! როცა თქვენი რესპუბლიკის მიღწევებზე ვლაპარაკობთ, სწორი არ იქნება არ დავინახოთ არსებული ნაკლოვანებანი. უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ბევრი საწარმო ვერ ასრულებს საწარმოო დავალებებს. საერთო პროდუქციის გამოშვების 1961 წლის ხუთი თვის გეგმები ვერ შეასრულა 187 სამრეწველო საწარმომ. ვერ შეასრულეს ხუთი თვის საწარმოო გეგმა ასწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების საწარმოებმა. სახელმწიფოს დააკლეს დიდძალი სამჭედლო-საწნეხე და სასოფლო-სამეურნეო მანქანები, აგრეთვე ტრაქტორების სათადარიგო ნაწილები. სახალხო მეურნეობის საბჭოებისა და მთელი რიგი სამრეწველო საწარმოების ხელმძღვანელები ჯეროვან უურადღებას არ აქცევენ წარმოების ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებას.

ბევრმა საწარმომ ვერ შეასრულა შრომის ნაყოფიერების გეგმა და ამის გამო მარტო პირველ კვარტალში საერთო პროდუქციის დანაკლისი აღემატება 21 მილიონ მანეთს. მთელი რიგი საწარმოები ვერ ასრულებენ აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმას.

დიდი ნაკლოვანებებია აგრეთვე მშენებლობის ორგანიზაციაში. უკანასკნელ ორ წელიწადში რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საუწყებო ორგანიზაციებმა ვერ ათვისეს დაახლოებით ორასი მილიონი მანეთი.

სრულიად არადამაკმაყოფილებლად სრულდება საწარმოო სიმძლავრეთა ამუშავების გეგმა. განა შეიძლება შევურიგდეთ მაგალითად, ისეთ ფაქტს, რომ უმნიშვნელოვანეს ობიექტებიდან, რომლებიც გათვალისწინებული იყო ასამუშავებლად 1960 წელს, დღემდე არ ამუშავებულა მილიონი ტონა რკინის მადნის და 1 მილიონ 650 ათასი ტონა ქვანახშირის მოპოვების სიმძლავრეები? ამ მადანს ხომ ელიან საწარმოები, რომლებმაც ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობას უნდა მისცენ თუჯი და ფოლადი.

დიდი ზარალი მოაქვს ძალებისა და სახსრების დაქსაქსვას მრავალ ობიექტებზე, რის შედეგად მშენებლობა ჭიანურდება მრავალი წლით. ამას ის მოსდევს, რომ ბევრი მატერიალური ფასეულობა და სახსრები მკვდარია მრავალი წლით, არ იძლევა ნაყოფს. საჭიროა, ბოლოს და ბოლოს, დავამყაროთ წესრიგი, დავამყაროთ მტკიცე კონტროლი მშენებლობის მიმდინარეობისადმი, სამუშაოთა ხარისხისადმი, ავამაღლოთ ყველა იმ მუშაკის პასუხისმგებლობა, რომელთაც მინდობილი აქვთ ეს დიდმნიშვნელოვანი საქმე.

ამხანაგებო! ვთხოვ რესპუბლიკის ხელმძღვანელებს, სახალხო მეურნეობის საბჭოების მუშაკებს, მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს, კომუნისტებს, კომკავშირელებს, ყველა მუშაკს, რომლებსაც უშუალოდ ეხებათ ეს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების სწორად გამოყენებას. ეს მეტად სერიოზული საკითხია. როგორც ჩანს, უახლოეს დროში პარტიის ცენტრალური კომიტეტი და მინისტრთა საბჭო მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, მრეწველობის მუშაკებს, პარტიულ ორგანიზაციებს გაუგზავნიან წერილს, რომელშიც მკვეთრად დაიყენებენ კაპიტალური დაბანდების სწორი გამოყენების საკითხს. ჩვენ მოვალენი ვართ მთელი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ ამ საქმეს.

სახსრებისა და მასალების სწორი გამოყენება მრეწველობისა და სამშენებლო ორგანიზაციათა ყველა მუშაკის პოლიტიკური სიმწიფის, კომუნისტური შეგნებულობის შემოწმების ეტალონი უნდა იყოს. საჭიროა ყველამ ღრმად შეიგნოს, რომ რაც უფრო უკეთესი, ეფექტიანი იქნება კაპიტალური მშენებლობისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება, რაც უფრო სწრაფი იქნება ამ სახსრების ბრუნვადობა, მით უფრო მეტად გადიდდება პროდუქციის გამოშვება, უფრო სწრაფად გაიზრდება დაგროვება სახალხო მეურნეობაში, გაუმჯობესდება ხალხის მატერიალური დაგროვება.

ამოცანა ის არის, რომ გავაუმჯობესოთ მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლები, მივაღწიოთ პროდუქციის გამოშვების გადიდებას, მისი ხარისხის გაუმჯობესებას. ამიტომ მოგიწოდებთ, ძვირფასო ამხანაგებო, ნუ დაელოდებით პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მთავრობის წერილს ან განსაკუთრებულ მითითებებს, და მიიღეთ ღონისძიებანი, რათა აღმოფხვრათ ნაკლოვანებანი მშენებლობის ორგანიზაციაში, სახსრებისა და მასალების უკეთ გამოყენებაში. თქვენ მოიგებთ დროს და ეს სანაქებო საქმე იქნება. თუ ამას არ იზამთ, პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭო იძულებული იქნებიან მიიღონ საჭირო ღონისძიებანი. თქვენ შეთანხმებით თუ არა? **(შეძახილები: გეთანხმებით! ტაში).**

თქვენს რესპუბლიკაში დიდი მასშტაბით წარმოებს საბინაო მშენებლობა. მარტო უკანასკნელ ორ წელიწადში სახელმწიფო სახსრებით რესპუბლიკაში აშენდა 8 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. ეს მნიშვნელოვნად მეტია, ვიდრე აშენდა მეხუთე ხუთწლედის განმავლობაში.

მაგრამ საბინაო მშენებლობის სახელმწიფო გეგმები რესპუბლიკაში ვერ სრულდება. საცხოვრებელი სახლების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა 1959 წელს შესრულდა 87 პროცენტით, ხოლო 1960 წელს — 95 პროცენტით. ამ ორ წელიწადში დანაკლისი უდრის 450 ათასზე მეტ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს. სრულიად არადამაკმაყოფილებლად სრულდება საბინაო მშენებლობის გეგმა 1961 წელსაც.

აქ, ალმა-ატაში, მე ვიღებ ბევრ წერილს, რომლებშიც მშრომელები მთხოვენ დავეხმარო მათ ბინების შიღებაში. მე მესმის, რომ ქალაქი ალმა-ატა მდებარეობს შესანიშნავ, შეიძლება ითქვას, მშვენიერ ადგილას. ამიტომ ბევრი ადამიანი ცდილობს დასახლდეს თქვენს ქალაქში, რომელიც იზიდავს საბჭოთა კავშირის ბევრ მოქალაქეს. ბინების მოთხოვნილება თქვენში, რა თქმა უნდა, დიდია, და ეს გვავალებს, რომ მთელი სახსრები, რომლებსაც სახელმწიფო მშენებლობისათვის გამოჰყოფს, გონივრულად და დროულად გამოვიყენოთ. ამ სახსრების სწორად გამოყენების პირობებში თქვენ შეძლებთ გაცილებით მეტი ბინა მისცეთ ადამიანებს, რომლებიც ამას საჭიროებენ. ეფიქრობ, რომ თუ თქვენ კარგად ითვისებთ გამოყოფილ სახსრებს, საკავშირო მთავრობა შეძლებს განიხილოს საკითხი, რომ დამატებით გამოგიყონ სახსრები საცხოვრებელი სახლების მშენებლობისათვის **(ხანგრძლივი ტაში).**

ყველა ეს არასასიამოვნო ფაქტია და მათზე არ მინდოდა ლაპარაკი ასეთ საზეიმო სხდომაზე. ზოგიერთ თქვენგანს შეუძლია თქვას, რა არის რომ ხრუშჩოვმა დღეესასწაულზეც კი არ დაგვინდო და ცოტათი გაგვაკრიტიკა კიდეც **(გამოცოცხლება დარბაზში)**, მაგრამ ეს საქმისათვის არის სასარგებლო, ამხანაგებო. **(ტაში).** მაგრამ ჩვენ, საბჭოთა ადამიანებს, ასეთი ჩვეულება დაგვჩემდა — ჩვეულებრივ დღეებშიც და დღესასწაულზეც ვხედავთ და აღვნიშნავთ არა მარტო დადებით ფაქტებს, არა მარტო იმას, რაც კარგად გავაკეთეთ, არამედ იმასაც, რაშიც ჩამოვრჩებით. რაც ვერ გავაკეთეთ. ამ ნაკლოვანებებს რომ აღვნიშნავთ, მათ მივაპყრობთ საერთო ყურადღებას, რათა უახლოეს დროში აღმოვფხვრათ ისინი.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ თქვენ გააკეთებთ სერიოზულ დასკვნებს და მიიღებთ ყველა საჭირო ღონისძიებას, რომ უფრო სწრაფად აღმოფხვრათ არსებული ნაკლოვანებანი. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ გამოვთქვა იმედი, რომ აზახეთის რესპუბლიკის მშრომელები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა გადალახონ ეს ნაკლოვანებანი, მიაღწიონ ახალ წარმატებებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში. **(ტაში).**

ამხანაგებო! ყამირის მხარის სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირზე ცელინოგრადში და აზახეთის მოწინავეთა თათბირზე ქალაქ ალმა-ატაში მიმდინარე წლის მარტში დაწვრილებით იყო ლაპარაკი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის განვითარების წარმატებებზე, იმ უდიდეს მუშაობაზე, რაც განხორციელდა ყამირის ასათვისებლად.

ჩვენი ხალხი მუდამ იამაყებს და აღტაცებული იქნება იმ გმირობით, რომელიც საბჭოთა ადამიანებმა ჩაიდინეს ახალი მიწების ათვისებაში. ყამირის ათვისება დიდი რევოლუციური მნიშვნელობის მოვლენაა.

არ შეიძლება თავი შევიკავო, რომ ერთხელ კიდევ არა ვთქვა, თუ რა შესანიშნავი ნაყოფი მოუტანა ჩვენს ხალხს ყამირის მიწამ. სულ რამდენიმე წლის მანძილზე ჩვენს ქვეყანაში ათვისებულია 41 მილიონი ჰექტარი ყამირი. მარტო აზახეთის რაიონებში მოხნულია 25 მილიონ ჰექტარზე მეტი. ყამირის ათვისებამ განსაკუთრებით დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებასა და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში.

პარტიის მოწოდებით ყამირი და ნასვენი მიწების ასათვისებლად დაირაზმა ასეული ათასობით შესანიშნავი პატრიოტი ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა რესპუბლიკიდან. ყამირის დაპყრობამ კვლავ უჩვენა მთელ მსოფლიოს, თუ რა უდიდესი შემოქმედებითი ძალები აქვს სოციალისტურ წყობილებას, საბჭოთა სახელმწიფოს ხალხების ურღვევ მეგობრობას. ყამირის ათვისება მილიონობით საბჭოთა ადამიანის, ჩვენი ახალგაზრდობის შრომითი წრთობის, პოლიტიკური და კულტურული აღზრდის დიდი სკოლა იყო.

ჩვენი ქვეყნის კომკავშირმა, ახალგაზრდობამ, რომლებიც ერთგული არიან დიდი ლენინის ანდერძისა. ყამირი მიწების ათვისებისათვის ბრძოლის ისტორიაში ჩაწერეს მამაცობის, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმის, რევოლუციური რომანტიკის მდელვარე, მკაფიო ფურცლები. ამის შესახებ უკვე ბევრი ითქვა კარგი სიტყვა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის ნათქვამი—ისე დიდმნიშვნელოვანი და დიადია ეს სახელოვანი გმირობა!

ყამირი მიწების ათვისების შედეგად ჩვენში ახლა შექმნილია სასაქონლო პურის წარმოების ახალი დიდი ბაზა. ყამირის ათვისების დაწყებიდან ჩვენმა ქვეყანამ იმასთან შედარებით, რაც ამ რაიონებმა მოგვცეს 1949-1953 წლებში, ყამირის რაიონებიდან დამატებით მიიღო 6 მილიარდ 300 მილიონ ფუთზე მეტი სასაქონლო პური, აქედან აზახეთის რესპუბლიკაში — 3 მილიარდ 100 მილიონი ფუთი. მარცვლეულის საშუალო წლიური წარმოება აზახეთში თითქმის ხუთჯერ გაიზარდა იმ პერიოდთან შედარებით, რომელიც წინ უძღოდა ყამირის ათვისებას.

რესპუბლიკაში შექმნილია მსხვილი საბჭოთა მეურნეობები. ახლა აზახეთში არის 1.100 საბჭოთა მეურნეობა და 780 კოლმეურნეობა, რომლებმაც მიიღეს ბევრი ტრაქტორი, ავტომობილი, კომბაინი და სხვა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა.

ყამირის ათვისებამ ხელსაყრელი პირობები შექმნა საზოგადოებრივი მეცხოველეობის სწრაფი განვითარებისათვის. 1960 წელს ხორცის წარმოება აზახეთში 1953 წელთან შედარებით გაიზარდა 1,7-ჯერ; რძისა — 1,6-ჯერ; მატყლისა — 1,7-ჯერ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის ახალი დიდი პროგრამა. ჩვენს ქვეყანაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანის გადაჭრაში დიდი წვლილი უნდა შეიტანოს აზახეთის რესპუბლიკამ.

აზახეთის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა იკისრეს მარცვლეულის, ტექნიკური კულტურების, ხორცის, რძის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოების გადიდების დიდი ვალდებულებანი. უახლოეს წლებში მარცვლეულის საერთო მოსავალი რესპუბლიკაში აყვანილ უნდა იქნას 1 მილიარდ 600 მილიონ ფუთამდე და სახელმწიფოსათვის პურის ყოველწლიური მიყიდვა — სულ ცოტა 1 მილიარდ ფუთამდე და არავინ არ დაგძრახავთ, არამედ პირიქით, ყველა შეგაქებთ, თუ თქვენ გაადიდებთ მარცვლეულის წარმოებას და ყოველწლიურად მიჰყიდით მილიარდზე მეტ ფუთს. **(ტაში).** ფართოვდება სიმინდის, შაქრის ჭარხლის, ბამბის, ბრინჯისა და მარცვლეულ-პარკოსანი კულტურების ნათესები.

ჩვენი სამშობლოს განვითარების ინტერესები, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების ამოცანის გადაჭრა მოითხოვს სოფლის მეურნეობის, განსაკუთრებით მეცხოველეობის განვითარების უფრო მაღალ ტემპებს. თქვენმა რესპუბლიკამ ვალდებულება იკისრა უახლოეს წლებში აწარმოოს 155 ათასი ტონა ხორცი (დაკლული წონით), ანუ 4 მილიონ 648 ათასი ტონა. ბევრი საბჭოთა მეურნეობა ბეჯითად მუშაობს, რათა უზრუნველყოს 100 ჰექტარ სახნავზე 75 ცენტნერი და 100 ჰექტარ სხვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე 16 ცენტნერი ხორცის წარმოება.

ყველაფერი ეს კარგია. მაგრამ პირნათლად რომ შეასრულოთ ნაკისრი ვალდებულებანი, საჭირო იქნება დაძაბული მუშაობა. არ შეიძლება საქმე თვითდინებას მივანდოთ. განუწყვეტლივ უნდა ვაწარმოოთ ორგანიზატორული მუშაობა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დავრაზმოთ სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკი ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ამხანაგებო!

აზახეთში, ციმბირსა და სხვა რაიონებში ნათესი ფართობების გადიდებასა და ყამირი მიწების ათვისების გზით მარცვლეულის საერთო მოსავლის ზრდაში მიღწეულ წარმატებათა მიუხედავად, ჩვენ ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ, რომ მივაღწიოთ მარცვლეულისა და საკვების წარმოების გადიდებას.

უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ მკვეთრად გავადიდოთ ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლიანობა. უწინარეს ყოვლისა უნდა გაუმჯობესდეს ნათესი ფართობების სტრუქტურა. ყოველ ზონაში უნდა იყოს თავისი წამყვანი კულტურა. მაგრამ ამ საქმეში არ შეიძლება იყოს შაბლონი. უნდა შევარჩიოთ ყველაზე უხვმოსავლიანი კულტურები, რომლებსაც, თუ შეიძლება ასე ითქვას, პრიორიტეტი უნდა ჰქონდეთ სხვა კულტურებთან შედარებით.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ისეთი კულტურები, როგორიც არის ბარდა და სხვა პარკოსნები, განსაკუთრებით საკვები პარკოსნები, სიმინდთან ერთად, როგორც ჩანს, უნდა მოვიყვანოთ ყველგან საბჭოთა კავშირში. დარწმუნებული ვარ, რომ ამ კულტურების უნარიანი მოვლა-პატრონობისას ისინი ისეთსავე პატივს მოიხვეჭენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, როგორიც ხანჭკოლამ მოიპოვა ქვიშიან ნიადაგებზე.

სოფლის მეურნეობის განვითარებაში ახლა ყველაზე მთავარია გადაჭრას მეცხოველეობის პრობლემა, გადიდდეს მეცხოველეობის პროდუქტების, განსაკუთრებით კი ხორცის წარმოება. საჭიროა, რომ პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყველა ხელმძღვანელმა, კოლმეურნეებმა, საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა შეიგნონ, რომ უსიმინდოდ ძლიერ გაგვიძნელდება მეცხოველეობის აღმავლობა. ამიტომ მინდა ერთხელ კიდევ მთელი ძალით გავუსვა ხაზი სიმინდის მოვლა-მოყვანის მნიშვნელობას. შეუძლებელია წარმატებით გადაიჭრას მეცხოველეობის განვითარების ამოცანები, თუ ყველგან არ ავითვისეთ ეს კულტურა, არ შევისწავლეთ მისი თავისებურებანი.

ახლა აღარ დგას საკითხი, თუ სად უნდა დავთესოთ ეს კულტურა და სად მოგვცემს იგი კარგ მოსავალს. ეს უკვე განვლილი ეტაპია. ყველგან, საბჭოთა კავშირის თითქმის მთელ ტერიტორიაზე, როგორც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწინავე ადამიანებმა ცხადყვეს, სიმინდს შეუძლია მოგვცეს უხვი მოსავალი. ერთ ჰექტარზე მოყვანილი მოსავლით, საკვები ერთეულების რაოდენობით სიმინდი ბევრად აჭარბებს სხვა საკვებ კულტურებს.

ცხოვრებამ დაადასტურა, რომ სიმინდი ყველგან, სადაც საქმის ცოდნით უვლიან მას, ცხადყოფს თავის დიდ უპირატესობას სხვა კულტურებთან შედარებით. მე უკვე არაერთხელ მითქვამს — მთავარი ახლა ის არის, რომ შევარჩიოთ ადამიანები, შევასწავლოთ მათ, როგორ უნდა აწარმოონ სიმინდის მოვლა-მოყვანა. ეს შეეხება არა მარტო საბჭოთა მეურნეობების მუშებს, კოლმეურნეებს, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს, არამედ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, რაიონების, ოლქების, რესპუბლიკების ხელმძღვანელებსაც.

იქ, სადაც ვერ მოჰყავთ სიმინდის კარგი მოსავალი, არ იყენებენ ამ კულტურის პოტენციურ შესაძლებლობებს, შიზეზია არა სიმინდი, არამედ კვლავ და კვლავ ადამიანები. ნამდვილად შეიძლება ითქვას, რომ იმ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, სადაც სიმინდის მცირე მოსავალს იღებენ, ჯეროვან უურადღებას არ აქცევენ ამ კულტურას; ასეთ მეურნეობებში შერჩეულია ისეთი კადრები, რომლებიც არ იცნობენ და არ უყვართ სიმინდი, შეგნებული არა აქვთ მისი მნიშვნელობა მეურნეობაში და არა სურთ მისი მოვლა-მოყვანა.

მარტოოდენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში როდი უნდა შევარჩიოთ და მხარი დავუჭიროთ უნარიან, საქმის მცოდნე ადამიანებს, რომლებიც შეძლებენ ამ კულტურის შესწავლას, მოიყვანენ უხვ მოსავალს. ასეთივე საზომით უნდა მივუდგეთ რაიონული, პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ხელმძღვანელ მუშაკებსაც. მაშასადამე, სიმინდი კი არ უნდა შევცვალოთ ამა თუ იმ რაიონში სხვა კულტურებით, არამედ, როგორც ჩანს, უნდა შევცვალოთ ის მუშაკები, რომლებსაც არ ესმით ამ კულტურის მნიშვნელობა, ჯიუტად იცავენ ძველ, ჩამორჩენილ შეხედულებებს. სიმინდმა გაუძლო გამოცდას სხვა კულტურებთან შეჯიბრებაში, ისინი კი არ სწავლობენ მას, არ ნერგავენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, არ შეუძლიათ ან არა სურთ დარაზმონ ადამიანები სიმინდის მოვლა-მოყვანისათვის.

სიმინდი სწორედ ის კულტურაა, რომლის მეოხებითაც ჩვენ შეგვიძლია დავაჩქაროთ მეცხო

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

ული ჯიშის სიმინდი, ეს მით უფრო ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნისათვის. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ხომ ასტ მკვეთრად იცვლება ტემპერატურული რეჟიმი სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ და დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ? მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ სიმინდის უზარმაზარი ნათესი ფართობები ჩვენში ისეთ ზონაშია, რომელიც არცთუ ისე დიდი ხნის წინათ შეუფერებლად. შეიძლება ითქვას, „აკრძალულ ზონად“ მიჩნდათ სიმინდისათვის, ახლა კი პრაქტიკამ დაამტკიცა, რომ შეიძლება სიმინდის თესვა და სასილოსე სიმინდის მოვლა-მოყვანა ჩვენი ქვეყნის აბსოლუტურად მეტ წილ რაიონებში და მივიღოთ არა მარტო სასილოსე მწვანე მასა, არამედ ჭიყინტლი და ბაზი ტაროიანი სიმინდიც. თუ გვექნება ისეთი მოკლე სავეგეტაციო პერიოდის სიმინდის ჯიშები, როგორიც არის 60 დღის ან თუნდაც 80-90 დღისა, მაშინ შეიქმნება კიდევ მეტი შესაძლებლობანი მარცვლის წარმოების გადიდებისათვის. უმარცვლოდ კი შეუძლებელია გადაიჭრას მეცხოველეობის განვითარების პრობლემა.

მინდა დავაყენო ჩვენი სელექციონერების წინაშე კიდევ ასეთი საკითხიც. მე უკვე არაერთხელ მილაპარაკნია საკვები ცერცვის შესახებ. იგი ძვირფასი კულტურაა და დიდ ყურადღებას მოითხოვს. საკვები ცერცვი, შესანიშნავი თვისებებით გამოირჩევა. ამ კულტურამ ჩაწოლა არ იცის. არავითარი ქარიშხლისა არ ეშინია. მას ღეროზე ბევრი მსხვილი მარცვალი აქვს. კარგი იქნება, თუ ჩვენი სელექციონერები იმუშავებენ იმ მიმართულებით, რომ ბარდა ან ლობიო დაამყნან საკვებ ცერცვზე. მაშინ ეს კულტურა სასურსათო და საკვები კულტურა გახდებოდა. ესე იგი შეიძლება გვქონდეს ერთი ჯიშის სასურსათო პარკოსანი, მეორე კი საკვები.

სოფლის მეურნეობის ზოგიერთ მუშაკს შეუძლია გვითხრას, ლობიო ხომ გვაქვსო. მაგრამ ლობიო ჩვენში ხვიარაა და მაღალი არ იზრდება. იგი ბოსტნის კულტურაა, ამასთან ისეთი კულტურა, რომელიც ბევრ ხელის შრომას მოითხოვს. ლობიო დაახლოებით 6 ცენტნერ მოსავალს იძლევა ჰექტარზე. ამიტომაც ლობიო ფართოდ არ არის გავრცელებული.

ცერცვი უხვმოსავლიანი, მდგეიტყოდი, მძლავრი კულტურაა. ცერცვის ღეროზე მეტრი-მეტრნახევარი სიმაღლისა იზრდება და ჰექტარზე იძლევა 300 ცენტნერ და მეტ მწვანე მასას და 30 ცენტნერამდე მარცვალს. თუ ლობიოს საკვებ ცერცვზე დავამყნობთ შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ მცენარეს ექნება ლობიოს თვისებები და ეს იქნება სრულიად ხვა, ძალიან ძვირფასი მცენარეასეთი გზით მიღებული კულტურა მინდვრის კულტურად გადაიქცევა და მისი მოვლა-მოყვანა შეიძლება მთლიანად მექანიზებული გახდეს. შეიძლება თუ არა ამის გაკეთება — ეს სელექციონერებმა უნდა თქვან.

ამ საკითხებზე დაწვრილებით ვლაპარაკობ თქვენთან, აზიზეთში, მაგრამ ეს თანაბრად ეხება საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკას.

დიდი სიამოვნებით მაგონდება სოფლის მეურნეობის მოწინავეთა თათბირები ცელინოგრადსა და ალმა-ატაში. ამ თათბირებზე გამოვიდნენ თქვენი რესპუბლიკის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების შესანიშნავი ადამიანები. მათ აღნიშნეს, თუ რა დიდი შესაძლებლობებია კვერცხის, ხორცისა და სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრი აღმავლობისათვის. საჭიროა, რომ მოწინავეთა გამოცდილება, მათი მიღწევები ყველა საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის კუთვნილება გახდეს.

თქვენი რესპუბლიკის მუშაკებმა ჩემთან საუბარში თქვეს, რომ საგაზაფხულო თესვა ყაზახეთის ოლქებში დროულად და კარგად განხორციელდა, რომ ნათესი ნორმალურად ვითარდება და, როგორც ამბობენ, ხორბლისა და სხვა საგაზაფხულო კულტურების აღმონაცენი თვალს ახარებს. მაგრამ მე მინდა, ამხანაგებო, მოგიწოდოთ: ერთი დღითაც არ გადადოთ, გაიჩაღეთ მუშაობა მოსავლის აღებისათვის მოსამზადებლად. თქვენ ჩემზე უკეთ იცით, რომ თქვენს პირობებში შეიძლება მოიყვანო მოსავალი, მაგრამ დაკარგო იგი მოსავლის აღების ცუდი ორგანიზაციის შედეგად. საჭიროა ყოველი ღონე იხმაროთ იმისათვის, რომ დროზე აიღოთ მოსავალი თვითეულ კოლმეურნეობაში, თვითეულ საბჭოთა მეურნეობაში. საჭიროა ბევრი იმუშაოთ იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მეცხოველეობა საკვებით.

მეგამბეებს შეუძლიათ თქვან — რატომ ილაპარაკ: ბამბაზე ასე ცოტა? მაგრამ მე ხომ ბევრი კულტურა არცკი დამისახელებია — არ არის შესაძლებლობა დაწვრილებით ვილაპარაკოთ ყველაფერზე. რაც შეეხება ბამბას, არა მარტო მეგამბეებმა, არამედ ყველა ადამიანმა იცის, რომ თუ არ გვექნება ბამბა, მოგვიხდება, ხატოვნად რომ ვთქვათ, ტრუსებში ვიაროთ. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში).** ამიტომ უნდა მოვიყვანოთ მეტი ბამბა, რომ კარგად ჩავაცვათ ჩვენს ხალხს, რომ სულ უფრო კარგი და ლამაზი იყოს საბჭოთა ადამიანების ტანსაცმელი. **(ტაში).**

მეჯოგეებმა რომ არ მისაყვედურონ, უნდა გავიმეორო ის, რაც უკვე ითქვა თათბირზე ყამირის მხარეში, რომელიც მიმდინარე წლის მარტში გაიმართა. თქვენ. ამხანაგებო, ყოველი ღონისძიებით უნდა განავითაროთ მეცხენეობა, როგორც ხორცის მეცხენეობა. ვფიქრობ, რომ საჭირო არ არის გითხრათ, რომ ცხენის ხორცი გემრიელი და ნოყიერი ხორცია. როგორც ხედავთ მე თითქოსდა ყაზახი ვხდები **(ხანგრძლივი ტაში).** გუშინ აქ გამიმასპინძლდნენ ცხენის ხორცით, მომეწონა გემრიელი ხორცია, მაგრამ ძალიან ქონიანია. შესაძლოა მე ეს მომეჩვენა, რადგან ხორცის ქონიანობაზე ვმსჯელობ ჩემი კომპლექციის მიხედვით. **(მხიარული გამოცოცხლება დარბაზში).**

მაგრამ მთელი სერიოზულობით მინდა ვთქვა, რომ ცხენის ხორცი ნოყიერი, დიდკალორიული და იაფი პროდუქტია. თქვენს რესპუბლიკაში და არა მარტო თქვენს, არამედ სხვა ჩვენს რესპუბლიკებშიც არის ბევრი აღამიანი, რომლებიც შეეჩვევნენ ამ ხორცს, უყვართ იგი. ჭამონ და ღმერთმა შეარგოთ! **(ტაში).**

მით უმეტეს, რომ ეს საქმე მეტად ნებისმიერია — არ გინდა, ნუ ჭამ. ჩვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი ადამიანია, რომლებსაც ეს ხორცი უყვართ და მადიანათ ჭამენ მას. ამიტომ მოგიწოდებთ — მეტი ყურადღება მიაქციეთ მეცხენეობის განვითარებას, თორემ ვხედავ, აქ მერემეები სხედან, და მათ როგორც სხვებს, რომლებიც რადიოთი მისმენენ, შეუძლიათ თქვან ან იფიქრონ — ალბათ ხრუშჩოვმა შეიცვალა თავისი თვალსაზრისი ცხენის ხორცის შესახებ, ამაზე აქ არაფერი თქვაო. **(ტაში).**

მიმდინარე გაზაფხულზე და ზაფხულში, ისევე როგორც წარსულ წლებში, ყაზახეთში ბევრი კადრები ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან. ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა აქვს კარგ კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობებს საბჭოთა მეურნეობებში კადრების შენარჩუნებისათვის. მთელი მუშაობის გაუმჯობესებისათვის. ამ საკითხებს შეუსუსტებელი ყურადღება უნდა ექცეოდეს. საბჭოთა მთავრობამ უდიდესი სახსრები გამოჰყო მშენებლობისათვის ყამირის რაიონებში.

მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ მშენებლობის ორგანიზაციაში დღემდე არის სერიოზული ნაკლოვანებანი. საჭიროა ყამირზე მშენებლობას მივაპყროთ მთელი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების ყურადღება, რათა უზრუნველვყოთ საბჭოთა მეურნეობებში მშენებლობის დასახული პროგრამის უთუო შესრულება.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა დარწმუნებული არიან, რომ რესპუბლიკის მშრომელები, კომუნისტები და კომკავშირელები, საბჭოთა მეურნეობების მუშები, კოლმეურნეები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები ყოველ ღონეს იხმარენ იმისათვის, რომ მიაღწიონ მარცვლეულის, ხორცისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების მკვეთრ გადიდებას. თავდადებული შრომით ყაზახეთის მშრომელნი ახალ დიდ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში. **(ტაში).**

ძვირფასო ამხანაგებო! საბჭოთა ადამიანებში დიდი კმაყოფილების გრძნობას იწვევს ჩვენი ქვეყნის როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო მდგომარეობა. ჩვენ ბევრი რამ გვაქვს სასახარულო. ამა ნახეთ, როგორ ვითარდება და ძალღონეს იკრებს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი თანამეგობრობა. სოციალისტური მშენებლობის გზით მტკიცედ მიდიან ევროპისა და აზიის მთელი რიგი სახელმწიფოები, რომელთა ხალხებმა მოიპოვეს თავისუფლება, მჭიდროდ დაირაზმნენ მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით და სულ ახალ და ახალ გამარჯვებებს აღწევენ.

ხალხთა შორის მშვიდობისათვის თანმიმდევრული ბრძოლით საბჭოთა კავშირმა და სხვა სოციალისტურმა ქვეყნებმა მილიონობით და მილიონობით ადამიანთა ნდობა, სიმპათია და მხარდაჭერა მოიპოვეს ყველა ქვეყანაში. და ჩვენ ყოველ ღონეს ვიხმართ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ეს ნდობა და ეს მხარდაჭერა.

ჩვენი საგარეო პოლიტიკის გენერალური ხაზია მშვიდობიანი თანაარსებობის, ყველა ხალხთა შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების ხაზი. ამისათვის ვიბრძოდით და ვიბრძოლებთ. და უწინარეს ყოვლისა ვიბრძოლებთ თანამედროვეობის ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემის, განიარაღების პრობლემის გადაჭრისათვის, უახლოეს დროში გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადებისათვის, რათა აღმოვფხვრათ მეორე მსოფლიო ომის შედეგები და ამ საფუძველზე გადავჭრათ დასავლეთ ბერლინის საკითხი.

საბჭოთა მთავრობის პოზიცია ამ საკითხებში მე დაწვრილებით განვმარტე გამოსვლაში რადიოთი და ტელევიზიით, აგრეთვე გამოსვლაში კრემლში მოსკოვის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა კრებაზე დიდი სამამულო ომის დაწყების მე-20 წლისთავის გამო. ვფიქრობ, რომ არ არის საჭირო გავიმეორო იგი აქ ამ საზეიმო სხდომაზე. ვიტყვი მხოლოდ, რომ, ჩვენი ღრმა რწმენით, ეს არის მტკიცე კარგათ დასაბუთებული პოზიცია. და განზრახული გვაქვს მტკიცედ დავიცვათ იგი. ჩვენ ვიღებთ წინ ჩვენ მიერ დასახულ საგარეოპოლიტიკურ ღონისძიებათა განხორციელებისათვის იმ შეგნებით, რომ ისინი შეესაბამებიან საბჭოთა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების ინტერესებს. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო! ყაზახეთი მრავალეროვანი საბჭოთა რესპუბლიკაა, სადაც მხარდამხარ შრომობენ ყაზახები და რუსები, უკრაინელები და ბელორუსები, უზბეკები და უიღურები. ჩვენი დიდი საშობლოს ბევრი სხვა ეროვნების წარმომადგენლები. ყველა ისინი გაერთიანებული არიან ძმური მეგობრობით, მისწრაფებით რაც შეიძლება უკეთ შეასრულონ კომუნიზმის მშენებლობის ამოცანები.

ხოლო ამოცანები, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე, ჭეშმარიტად გრანდიოზულია. როგორც იცით, ამ დღეებში მოსკოვში მუშაობა დაამთავრა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, რომელმაც განიხილა ჩვენი პარტიის ახალი პროგრამის პროექტი და ახალი წესდების პროექტი. ეს პროექტები პრესაში გამოქვეყნდება, რათა მოეწყოს მათი გაშლილი განხილვა.

როცა ახალი პროგრამის პროექტი გამოქვეყნდება, მონაცემები საბჭოთა კავშირის ეკონომიური განვითარების პერსპექტივების შესახებ ყველა ჩვენი მეგობრის აღტაცებასა და აღფრთოვანებას გამოიწვევს.

მთელი მსოფლიო ერთხელ კიდევ დარწმუნდება, რომ ჩვენ იარაღით არ ვემუქრებით კომუნიზმის მოწინააღმდეგეებს. რით ვემუქრებით მათ? „ვემუქრებით“ იმით, რომ გვსურს გავუსწროთ ერთ სულ მოსახლეზე წარმოების დონის მხრივ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს. ჩვენ გვსურს უზრუნველვყოთ ჩვენი ხალხის კეთილდღეობა, უზრუნველვყოთ მისთვის ყველაზე მაღალი ცხოვრების დონე, როგორიც კი შესაძლებელია. განა ეს საფრთხეა კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელებისათვის? პირიქით, ეს მათთვის სიხარული და ბედნიერებაა. რა თქმა უნდა, რეაქციული მონოპოლისტური წრეებისათვის ეს მართლაც საფრთხეა, და ჩვენ არ ვაპირებთ უარვყოთ ეს, მათ ხომ სურთ მუდამ იყოლიონ ხალხები კაპიტალისტური ექსპლოატაციის მარწუხში, სურთ, რომ ხალხებმა არ იცოდნენ, თუ რა გიგანტურ შესაძლებლობებს შეიცავს სოციალისტური წყობილება, რაც შექმნეს ხალხებმა, რომლებმაც მოახდინეს რევოლუცია და სამუდამოდ განთავისუფლდნენ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციისაგან. მაგრამ შეუძლებელია დაუმალონ ეს ხალხებს.

ჩვენი ეკონომიკის სწრაფი განვითარება ყველაზე ძლიერი იარაღია ჩვენს ხელში, [illegible] ვაჩვენოთ კაპიტალისტური ქვეყნების ახალი მილიონობით ადამიანი. აი ამიტომ პროგრამის პროექტში ესოდენ დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას, იმას, რომ უზრუნველვყოთ მისი უეჭველი უპირატესობა ყველა მთავარ კაპიტალისტურ სახელმწიფოსთან შედარებით. დასახულია სახალხო მეურნეობის ყველა დარგის სწრაფი ზრდა. მძიმე მრეწველობასთან ერთად სწრაფად განვითარდება მსუბუქი და კვების მრეწველობა, ესე იგი დარგები, რომლებიც უშუალოდ აკმაყოფილებენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს. და ეს კანონზომიერია. რა არის მთავარი კომუნისტურ საზოგადოებაში? ადამიანი. ამიტომ ფიზიკური და გონებრივი ლონისძიებანი, მატერიალური საშუალებანი უნდა მოხმარდეს ადამიანისა და მთელი კომუნისტური საზოგადოების მოთხოვნილებათა უკეთ დაკმაყოფილებას. ჩვენი პარტიის ეს მთავარი მიზანი კიდევ უფრო მკაფიოდ აისახა პროგრამის პროექტში.

ჩვენ შესანიშნავ დროში ვცხოვრობთ, ამხანაგებო! ჩვენ ავაშენეთ სოციალიზმი და ისეთ სიმაღლეებზე ავედით, რომ მთელი მსოფლიო აღტაცებულია ჩვენი დიდი ხალხის — კომუნიზმის დაუცხრომელი მშენებლის საქმეებით.

ძველი რუსეთი ეკონომიურად ჩამორჩენილი ქვეყნის რიცხვში იყო, სადაც უცხოელი მჩაგვრელები ბატონობდნენ. ახლა კი საბჭოთა კავშირმა გაუსწრო ყველა განვითარებულ კაპიტალისტურ სახელმწიფოს, უკვე უშუალოდ უახლოვდება, ეს-ეს არის დაეწევა კაპიტალისტური სამყაროს თვით ლიდერს — ამერიკის შეერთებულ შტატებს. გავა ცოტა ხანი, და ჩვენ ვეტყვით მათ — გზა მოგვეცით, ბატონებო, ჩვენ წინ გავდივართ და თქვენ ვერასოდეს ვეღარ დაგვეწევითო. **(ხანგრძლივი ტაში).**

სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენი ქვეყნის ხალხები მხოლოდ იწყებდნენ მასობრივ ლაშქრობას მეცნიერებისა და ტექნიკის დაუფლებისათვის. ახლა კი იერიში მიგვაქვს ცაზე. ჩვენი თანამგზავრები და კოსმოსური ხომალდები სამყაროს ყველაზე მიუწვდომელი საიდუმლოებებს უხსნიან კაცობრიობას. ჩვენმა საბჭოთა ადამიანმა, კომუნისტმა იური გაგარინმა ადამიანთაგან პირველმა მოახდინა უმაგალითო ფრენა დედამიწის გარშემო თანამგზავრ ხომალდ „აღმოსავლეთით“, რითაც ახალი ერა დაიწყო კოსმოსის ათვისებაში. **(მქუხარე ტაში).**

რამდენი არანაკლები საგმირო საქმენი მოგველის მოგალაში? თვით ჩვენი ქვეყნის ცხოვრება, მისი სწრაფი აღმავლენა კომუნიზმის მაღლობებისაკენ ხალხის უკვდავი გმირობაა. და ეს გმირობა საუკუნეებში იცოცხლებს. **(ტაში).**

წება მიბოძეთ, ძვირფასო ამხანაგებო, ერთხელ კიდევ მოგილოცოთ თქვენი რესპუბლიკის შესანიშნავი მეოთხმოცე წლისთავი, ყაზახეთის სახელოვანი კომუნისტური პარტიის მეორმოცე წლისთავი და გისურვოთ ყველას ახალი, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი წარმატებანი თქვენს თავდადებულ შრომაში. **(მქუხარე ტაში).**

ჩემი გამოსვლის დასასრულს ნება მიბოძეთ წავიკითხო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისასალმებელი წერილი ყაზახეთის მშრომელებისადმი. **(ტაში).**

(შემდეგ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვი კითხულობს მისალმების ტექსტს. მისალმების წაკითხვის დროს არაერთხელ გაისმა მქუხარე ტაში).

გაუმარჯოს ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას და მის შრომისმოყვარე და ნიჭიერ ხალხს! **(მქუხარე ტაში).**

გაუმარჯოს ყაზახეთის კომუნისტურ პარტიას — სკკპ მებრძოლ რაზმს! **(მქუხარე ტაში).**

დაე განმტკიცდეს და აყვავდეს საბჭოთა კავშირის წევრთა ძმური მეგობრობა და შეკავშირება! **(მქუხარე ტაში).**

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას, რომელიც მტკიცედ მიუძღვის საბჭოთა ხალხს კომუნიზმის გამარჯვებისაკენ! **(მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა ყაზახეთი

საზეიმო სხდომა ალმა-ატაში

ალმა-ატა, 24 ივნისი. (საკადესი). ზეიმობენ საბჭოთა ყაზახეთის ხალხები! ბათელი, სასახარულო დღესასწაულია ვრცელ ველებზე, ქალაქებში, აულებსა და სოფლებში. ორმოცი წლის მანძილზე განელილია ჭეშმარიტად გიგანტური გზა უუფლებობიდან და უმეცრებიდან აღორძინებისაკენ, ნათელი, ხალისიანი ცხოვრებისაკენ.

ყაზახი ხალხის, ყაზახეთის მშრომელთა დღესასწაულს განსაკუთრებულ ზეიმურ ხასიათს აძლევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მონაწილეობა ამ დღესასწაულში.

ყაზახეთის ამაის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრი საღღესასწაულოდ აღის მოდგამული. უბარმაზარი ასოებით წარწერილია: „დიდება სკკპ!“.

ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის საზეიმო სხდომაზე, რომელიც მიეძღვნა ყაზახეთის სსრ და ყაზახეთის კომუნისტური პარტიის 40 წლისთავს, შეკრებია 1200-ზე მეტი კაცი.

შეკრებილნი მქუხარე ტაშით ხვდებიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვს, ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დ. ა. კუნაევს, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ს. დ. დაუღნოვს, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს ი. შ. შარიპოვს, ყაზახეთის სხვა ხელმძღვანელებს, წარმოების ნოვატორებს, მეცნიერებსა და კულტურის მოღვაწეებს, მოძმე რესპუბლიკების დელეგაციათა მეთაურებს, როცა ისინი პრეზიდიუმში შემოდიან.

ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა დ. ა. კუნაევმა დამსწრეებს მიმართა მოკლე შესავალი სიტყვით.

ჩვენს მოკლენებით მდიდარ ცხოვრებაში არის დღეები, როცა არაჩვეულებრივ სიამაყესა და სიხარულს განიცდი, — ამბობს იგი. — სწორედ ასეთი გრძნობით არის აღსავსე დღეს ყაზახი ხალხის, საბჭოთა ყაზახეთის ყველა მშრომელის გული.

ყაზახეთის მშრომელები გულთბილად და გულითადად შეხვდნენ ჩვენს დღესასწაულზე ჩამოსულ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

ყაზახი ხალხი და ჩვენი მრავალეროვანი რესპუბლიკის ყველა მშრომელი, — ამბობს ამხ. კუნაევი, — სულითა და გულით მოგესალმებათ თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგეს-ძევ. ყაზახეთის მიწაზე, გულწრფელ მადლობას გიძღვნიან იმისათვის, რომ თქვენ მამობრივად იზრუნებთ ჩვენთან ერთად ამ განუმეორებელი დღეების სიხარულს.

დამსწრეები სანატორიუმში ერთსულოვნად ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მეთაურობით.

მოხსენებისათვის „გაუმარჯოს და აყვავდეს საბჭოთა ყაზახეთი“ სიტყვა ეძლევა ყაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს დ. ა. კუნაევს.

ყაზახეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, ყაზახეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით ამბ. კუნაევი ულოცავს სხდომის მონაწილეებს და მათი სახით რესპუბლიკის ყველა მშრომელს ამ შესანიშნავ დღესასწაულს და უსურვებს მათ ახალ დიდ წარმატებებს კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის ბრძოლაში.

ჩვენი დღესასწაულის სიხარულს, ამბობს ამხ. კუნაევი, რესპუბლიკის ყველა მშრომელთან ერთად იზიარებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილი მოღვაწე, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, კომუნიზმის საქმისათვის, შეშიდობისა და ხალხთა მეგობრობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვი.

რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით ამბ. კუნაევმა ნ. ს. ხრუშჩოვს მიულოცა მაღალი ჯილდო — ლენინის ორდენი და სოციალისტური შრომის გმირის მესამე ოქროს ვარსკვლავი და გულთადი მადლობა გადუხადა საბჭოთა ყაზახეთის აყვავებაზე ზრუნვისათვის.

დღესასწაულზე ჩამოვიდნენ ყველა მოძმე მოკავშირე რესპუბლიკის დელეგაციები.

ამხ. კუნაევი რესპუბლიკის ყველა მშრომელის სახელით გულთბილად მიესალმება მოძმე მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებს.

ამხ. დ. ა. კუნაევი გულთბილად მიესალმა სხდომის დამსწრე სტუმრებს — ბულგარეთის დელეგაციას ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრის ც. დრაგოიჩევის მეთაურობით, რუმინეთისას — სსრ კავშირთან მეგობრული ურთიერთობის რუმინეთის საზოგადოების ცენტრალური საბჭოს წევრის აკადემიკოს ვ. მირზას მეთაურობით, მონღოლეთისას — სოფლის მეურნეობის მინისტრის ტ. ლ. ჩიმიდცერენის მეთაურობით.

დარბაზში არიან რეკოლუციისა და სამოქალაქო ომის ვეტერანები, ძველი ბოლშევიკები. ამხ. კუნაევი ულოცავს მათ დღესასწაულს და უსურვებს მრავალ წელს სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, ნიან ამისათვის, რომ თქვენ მამობრივად იზიარებთ ჩვენთან ერთად ამ განუმეორებელი დღეების სიხარულს.

ყაზახეთის რესპუბლიკის განვითარების ორმოცი წლის გზა, — ამბობს მომხსენებელი, — ეაღრესად მკაფიო გამოხატულებაა კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებებისა.

ყაზახეთის მშრომელთა უდიდესი მოსაოვარია მძიმე მრეწველობის ძირითადი დარგების შექმნა.

ყაზახეთის მრეწველობის განვითარებასა და საწარმო ძალების შემდგომ ზრდაზე, განაგრძობს ამხ. კუნაევი, უდიდესი ზეგავლენა მოახდინეს სკკპ XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებებმა.

ამხ. კუნაევის მოხსენებაში დიდი ადგილი ჰქონდა დამობილი სოფლის მეურნეობის საკითხებს.

ყამირის ათვისება, რაც ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის ინიციატივით დაიწყო, ერთ-ერთი ხასიათოვანი ფურცელია საბჭოთა ყაზახეთის ისტორიაში. ამხ. კუნაევს მოჰყავს საინტერესო ფაქტები. 1953 წელს ყაზახეთის ნათესმა ფართობმა შეადგინა 9,7 მილიონი ჰექტარი. ახლა კი რესპუბლიკას აქვს 26 მილიონამდე ჰექტარი ახლად ნოხნული მიწები, ხოლო მთელი ნახნავის ოდენობამ 33 მილიონ ჰექტარს გადაამეტა. მარტო ხორბალს ყაზახეთი თესავს 1,8-ჯერ მეტს, ვიდრე კანადა, რომელიც მარცვლეულის უდიდეს მწარმოებლად ითვლება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა კვლავ უდიდეს ყურადღებას აქცევენ ყაზახეთს, განსაკუთრებით ყამირის რაიონებს, დიდ დახმარებას უწევენ დიდი საქეურნეო და ორგანიზაციული საკითხების გადაჭრაში. ახლა დადგა რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ახალი, შესანიშნავი ეტაპი და იგი კვლავ დაკავშირებულია ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვის სახელთან, მის დაუცხრომელ ენერგიასთან. გამოვიდა რა ზონალურ თათბირებზე ცელინოგრადსა და ალმა-ატაში, ამხანაგი ნ. ს ხრუშჩოვი აღნიშნავდა, რომ ახლა უნდა ვაწარმოოთ მტკიცე ბრძოლა მინდვრების მოსავლიანობის მკვეთრი გადიდებისათვის, იმისათვის, რომ ყაზახეთში შეიქმნას ძაღლასაქონლური მეცხოველეობის კიდევ უფრო მძლავრი ბაზა.

რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელებმა, რომლებიც აღფრთოვანებული არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით, პარტიის მომავალი XXII ყრილობის აღსანიშნავად იკრიბეს ახალი გადიდებული ვალდებულებანი.

ამხ. კუნაევმა შემდეგ ილაპარაკა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის სფეროს გაუმჯობესებაზე და ხაზგასმით აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ბიუჯეტის ოდენობა 1953 წელთან შედარებით 7,2-ჯერ გაიზარდა და 31 მილიარდ მანეთზე მეტი შეადგინა (1960 წლის ფასებით.).

უკანასკნელ ოთხ წელიწადში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა 13 მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობი.

მთელ თავის გამოჩენებს, რაც მოპოვებულია ცხოვრების ძირეულ სოციალისტურ გარდაქმნაში, და ყოველივე იმას, რაც გადაიქცა ზღვის ყაზახეთი, ჩვენი ხალხი უნდა უმადლოდეს საბჭოთა წყობილებას, მშობლიურ კომუნისტურ პარტიასა და მის ლენინურ ეროვნულ პოლიტიკას. იგი უნდა უმადლოდეს დიდ რუს ხალხსა და საბჭოთა კავშირის ყველა სხვა მოძმე ხალხს, რომელთა გულუხვი და უანგარო დახმარება ყოველთვის იყო და კვლავაც არის ყველა მისი წარმატების გადამწყვეტი პირობა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში დიდი გარდაქმნები, გიგანტური წარმატებები განხორციელდა ყაზახეთის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ხალხის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებაში. ყოველივე ეს განუყოფლად დაკავშირებულია ყაზახეთის კომუნისტური პარტიის საქმიანობასთან, რომელიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი მებრძოლი რაზმია.

ჩვენი პარტია, ამბობს შემდეგ ამხ. კუნაევი, შეიარაღებული უაღრესად სამეცნიერო კომპასით, — მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიით, რომელიც მრავალგზის შეამოწმა ისტორიამ, იყო, არის და კვლავაც იქნება მარად ახალგაზრდა, მძლავრი, შემოქმედებითი ძალითა და ენერგიით აღსავსე პარტია.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი პარტიით, იმიტომ რომ მისი ბრძოლა წინამძღოლობით საბჭოთა ხალხმა დიდმოზეზი პირველმა მიაღწია მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს სოციალისტურ მშენებლობაში და ამავდროულად მტკიცედ მიდის კომუნიზმის გზით.

ჩვენ ვამაყობთ ჩვენი პარტიით, იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთმა პარტიამ შეძლო აღეზარდა და დაეყენებინა მაღალ და პასუხსაგებ პოსტზე საბჭოთა სახელმწიფოს საჭეთან ისეთი გამოჩენილი მესაჭე, როგორიც არის ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვი! ერთგულმა ლენინელმა და ხალხის მსახურმა, ამხანაგმა ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვმა საბჭოთა ადამიანების მხურვალე მადლობა და სიყვარული დაიმსახურა, იგი მკაფიოდ განასახიერებს ნამდვილი ბოლშევიკი ხელმძღვანელის, დაუცხრომელი ენერგიის ადამიანის, თავისი იდეური მტკიცე რწმენით ძლიერი კომუნისტის, ნიჭიერი ორგანიზატორის ფენომენებს, შემოქმედებითად და უნარიანად აერთიანებს კომუნისტური მშენებლობის თეორიასა და პრაქტიკას.

ყაზახეთის რესპუბლიკისა და კომპარტიის 40 წლისთავის დღესასწაულის დღეს, ამბობს დასასრულ ამხ. კუნაევი, ნება მიბოძეთ ყაზახი ხალხისა და ყაზახეთის ყველა კომუნისტის სახელით ვუთხრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, საბჭოთა მთავრობასა და პირადად ნიკიტა სერგეს-ძე ხრუშჩოვს ჩვენი გულის სიღრმიდან მომდინარე სიტყვებიდ: ჩვენ დიდი ლენინის ანდერძის ერთგული ვართ და ვართ, კომუნისტების დიადი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გარშემო შეკავშირებული ვიყავით და ვართ. ჩვენ

ჩვენი ძვირფასი სტუმარი

მიხეილ შოლოხოვი საქართველოში

მეხუთე დღეა საქართველოში მოგზაურობს მიხეილ შოლოხოვი, ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი და კეთილისმსურველი.

გზა ჩვენი ბარაქიანი და მადლიანი კახეთისაკენ მიდის...

23 ივნისს „წყნარი დონისა“ და „გატეხილი ყამირის“ ავტორი სიღნაღში ჩავიდა. ცა იყო მოწმენდილი, მზით გაბდღვრიალებული და შორს, ქვევით ალაზანი მოჩანდა. მიხეილ შოლოხოვმა დიდხანს უყურა ალაზნის ველს და თქვა: სიღნაღი ალბათ ამ უმშვენიერესი ველის საცქერლად აუშენებიათო. მართლა, საოცარი ქვეყანა გაქვთ, გადახედეთ რა კამკამა სივრცეებია, თვალი ცის დასალიერს სწვდებაო.

სიღნაღელები ნ. მექერიშვილი, გ. ტუხაშვილი და ალ. ვანიძე „მრავალჟამიერს“ მღერიან. ხედავთ, რა ხმა აქვს ალაზნის ველს, ამბობს შოლოხოვი. სახეზე კვთილი ღიმილი აფენია. ერთი შავი მერცხლისაც იმღერეთ, სთხოვს იგი სიღნაღელებს, იმ მერცხალთან ერთად გავყვეთ ალაზნის ველს...

ნაშუადღევს მიხეილ შოლოხოვი გურჯაანის გავლით ყვარელისკენ წავიდა. ყვარლის ახლოს მდინარე ინწობას პირას დაისვენა, მთის ნაჟური ცივი წყალი სახეზე შეისხა და თქვა, დასიცხულს კი არა, გულწასულსაც მოასულიერებსო.

საღამო ხანს ძვირფასი სტუმარი წინანდალში ჩავიდა. ოცდასამი ივნისის ღამე იქ გაატარა.

იგი კარგა ხანს ესაუბრა წინანდლელ მევენახეებს. ქართული ღვინო საქვეყნოდ განთქმულია და ქართული ლექსივით ყოველთვის ამაყად უნდა იაროსო მსოფლიოში.

გუშინ დილით მიხეილ შოლოხოვმა დათვალიერა ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმი და შთაბეჭდილებათა წიგნში ჩაწერა:

„ᲫᲛᲘᲓᲐᲓ ᲨᲔᲘᲜᲐᲮᲔᲗ ᲪᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ ᲘᲡ, ᲠᲐᲪ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲭᲐᲕᲭᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲗᲐᲜ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲯᲐᲕᲯᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐᲜ. ᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲠᲗᲝ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲐ, ᲫᲕᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜ ᲛᲝᲜᲐᲗᲔᲡᲐᲕᲔ ᲝᲠᲘ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ, ᲣᲙᲕᲓᲐᲕᲔᲑᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲣᲚᲗᲐ ᲜᲐᲚᲒᲚᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲣᲫᲕᲘᲠᲤᲐᲡᲔᲡᲘ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐ.

Გ. ᲨᲝᲚᲝᲮᲝᲕᲘ.

24. 6. 61.
ᲬᲘᲜᲐᲜᲓᲐᲚᲘ“.

• • •

დღის მეორე ნახევარში ძვირფასი სტუმარი გაეცნო სამტრესტის წინანდლის ღვინის ქარხანას.

წინანდლიდან მიხეილ შოლოხოვი გაემგზავრა თელავისაკენ. შუა მთისა და თეთრი წყლების გავლით იგი გომბორის გზით თბილისში დაბრუნდა.

კახეთში მოგზაურობისას შოლოხოვს ახლდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. ჯიბლაძე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი დ. მჭედლიშვილი და საქართველოს სახალხო პოეტი გ. ლეონიძე.

ამ ოთხ-ხუთ დღეში თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო შემოიარეთ და ალბათ დაიღალეთო, უთხრა შოლოხოვს ერთერთმა თანამგზავრმა. სიყვარული არ ღლის ადამიანს, თქვა შოლოხოვმა.

Გ. ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
Მ. ᲐᲠᲝᲑᲔᲚᲘᲫᲔ.

24 ივნისი.

ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲔᲚᲘ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲪᲔᲜᲐᲚᲘ

24 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ Ш. რუსთაველის სახელობის თეატრში უკრაინული დრამატურგიის კლასიკოსის მ. სტარიცკის ნაწარმოების „ბედმა არ არგუნა“ პრემიერით დაიწყო გასტროლები დნეპროპეტროვსკის ტ. გ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უკრაინულმა დრამატულმა თეატრმა.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ ა. გორდენკოს, მხატვარი — უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ბ. ბორისოვეცი, კომპოზიტორი — უკრაინის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. მაიბოროდა.

მთავარი როლები შეასრულეს თეატრის წამყვანმა მსახიობებმა — უკრაინის სახალხო არტისტებმა ვ. ოვჩარენკომ, ზ. ხრუკალოვამ, უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტებმა მ. სადოვსკიმ, ხ. სტანკევიჩმა, მსახიობებმა ა. მაქსიმოვამ, პ. ჩალიიმ და სხვებმა.

მსახიობთა შეწყობილმა ანსამბლმა და დადგმის ავტორებმა დიდი მხატვრული ძალით გადასცეს მაყურებლებს უკრაინელი მწერლის შთანაფიქრი.

უკრაინული თეატრის მსახიობთა პირველ გამოსვლას მაყურებლები გულთბილად შეხვდნენ.

სპექტაკლს დაესწრნენ ვ. პ. მეჟაპანაძე, გ. დ. ჯაბახიშვილი, მ. ი. კუპრავა, ა. ნ. ინაური. (საქ-ფესი).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ — ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ

რევანში არ შედგა

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (თბილისი) — „ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ“ (სტალინო) 0:0. თბილისი. 24 ივნისი. „ბურევესტნიკის“ სტადიონი. მსაჯი კ. ოსიპოვი (ლენინგრადი).

„ᲨᲐᲮᲢᲘᲝᲠᲘ“ — რაიციჩი, გოლოვკო, სნეგირიოვი, ალიაბიევი, მიზერნი, სალკოვი, როდინი, კოლოსოვი, საველიევი, ზახაროვი (რომანიუტა), დიკოვეცი; „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ — კოტრიკაძე, ბ. სიჭინავა, თორაძე, ხოკოლავა, ზეინკლიშვილი, იამანიძე, მელაშვილი (ცინცაძე), ბარქაია, კალოევი, გ. სიჭინავა, დათუნაშვილი.

• • •

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ წრის ფინიშთან დინამოელთა წარუმატებლობით გულგატეხილ მაყურებლებს ლენინგრადსა და რიგაში მოპოვებულმა წარმატებებმა მომავლეს რწმენა და იმედი ჩაუსახა.

სწორედ ასეთი რწმენით, იმედით შეხვდნენ ისინი გუშინ სტალინოს „შახტიორისა“ და თბილისის „დინამოს“ მატჩს, იმ გუნდთან სარევანშო ბრძოლას, რომელთანაც დინამოელებმა დამარცხება განიცადეს 0:2.

თუ თბილისელთა ბრძოლას დასაწყისში ახასიათებდა შედარებით გაშლილი და გაახრებული თამაში, სადაც მაორგანიზებლის როლს გუნდის კაპიტანი იამანიძე ასრულებდა, იგი თანდათან გადაიზარდა უსისტემო თამაშში.

პირველ რიგში ეს ითქმის თავდამსხმელებზე, მის მარჯვენა ფლანგზე, ცენტრფორვარდზე. მთელ თამაშში ვერ ვნახავთ აწყობილი ანსამბლი, დახვეწილი კომბინაცია, აშკარად საგოლო მომენტები.

სტუმართა თამაში ძირითადად ეყრდნობოდა ძალისმიერ ბრძოლას, ზოგჯერ უხეშობასაც, ამასთანავე ჯგუფურ ეროვნობანას დაცვაში, შეტევაში. მათ გვიჩვენეს კარგი ფიზიკური მომზადება, ეროსულოვნება. შეტევებში აქტიურად მონაწილეობდნენ მეცველები სნეგირიოვი და ალიაბიევი; ნახევარმცველი მიზერნი კარგად ასრულებდა მაორგანიზებლის როლს, თავდამსხმელთა ხუთეულში გამოირჩეოდა სწრაფი და ტექნიკური გარემარბი დიკოვეცი.

„კარის აღების“ შესაძლებლობები თითებზე ჩამოსათვლელიც კი არ იყო, ამიტომ შედეგიც შესატყვისი (0:0) აღმოჩნდა. ისევ, ან მის მსგავს ანგარიშებს სხვა მატჩებიც შევხვედრივართ, მაგრამ გუშინდელი შედეგი საბრძოლო ფრე როდი იყო.

ამიტომ იყო რომ მაყურებლებმა გულისტკივნით დატოვეს სტადიონი.

Ვ. ᲒᲘᲪᲐᲫᲔ.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲒᲑᲐᲖᲔ

23 და 24 ივნისს გაიმართა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშების მორიგი მატჩები ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებისათვის.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ დედაქალაქის „სპარტაკმა“ დაამარცხა ალმა-ატის „კაირატი“ ანგარიშით 1:0.

ᲢᲐᲚᲘᲜᲨᲘ კიშინიოვის „მოლდოვასა“ და ტალინის „კალევის“ მატჩი დამთავრდა „მოლდოვას“ გამარჯვებით 2:1.

ᲕᲘᲚᲜᲘᲣᲡᲨᲘ დედაქალაქის „ლოკომოტივისა“ და ვილნიუსის „სპარტაკის“ გუნდების შეხვედრა დამთავრდა ლოკომოტიველთა გამარჯვებით 3:1.

ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲨᲘ

ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲐᲠᲒᲔᲜᲢᲘᲜᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲒᲣᲨᲘᲜ მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონზე ათეულ ათასობით მაყურებელი ესწრებოდა საერთაშორისო ამხანაგურ შეჯიბრებას ფეხბურთში არგენტინისა და სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებს შორის.

მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეებს ჰქონდათ ანგარიშის გახსნის არაერთი. შესაძლებლობა, მათ ვერ შეძლეს ბურთის გატანა და მატჩი ფრედ — 0:0 დამთავრდა.

ᲙᲘᲔᲕᲔᲚᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირში სტუმრად იმყოფება დანიის ფეხბურთელთა საკლუბო გუნდი „ალიანსენი“.

პირველი საერთაშორისო ამხანაგური შეჯიბრება დაიწყო ფეხბურთელებმა გამართეს უკრაინის დედაქალაქში კიევის დინამოელთა წინააღმდეგ. მატჩი დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვებით ანგარიშით 5:2.

ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲗᲐ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲐ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე საზეიმოდ გაიხსნა მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა.

მოეწყო სპორტსმენთა პარადი. სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს განათლების მინისტრი თ. ლაშქარაშვილი. ალაში აღმართეს გასული სპარტაკიადის ჩემპიონებმა.

მიმდინარე სპარტაკიადა, რიცხვით XIII, გამოირჩევა მასობრივობით, შეჯიბრების პროგრამის მრავალფეროვნებით.

სპარტაკიადა, რომელიც მის საზეიმო გახსნამდე დაიწყო, რამდენიმე დღეს გაგრძელდება.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ ᲒᲐᲡᲢᲠᲝᲚᲔᲑᲖᲔ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ. (საკ. კორ.). 22 ივნისს, რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივმა გასტროლები დაიწყო ქუთაისში. ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში მაყურებელს უჩვენა დ. გაჩეჩილაძის „ბახტრიონი“.

საგასტროლო რეპერტუარშია აგრეთვე ს. კლდიაშვილის „ქარიშხალში“, კ. ბუაჩიძის „ამბავი სიყვარულისა“, ვ. კანდელაკის „ქართლის ჩრდილდნები“, უ. შექსპირის „ჰამლეტი“, პ. კოპოეტის „როცა ასეთი სიყვარულია“. გასტროლების პერიოდში, რაც ერთ თვეზე მეტს გასტანს, რუსთაველის სახელობის თეატრი გასცლოს სპექტაკლებს გამართავს აგრეთვე ქუთაისის მეზობელ ქალაქებსა და რაიონებში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲯᲕᲔᲡ

ᲡᲝᲩᲘᲐᲨᲘ დამთავრდა „დინამოსა“ და სხვა სასპორტო საზოგადოებათა კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივების ტრადიციული ტურნირი.

უკანასკნელისწინა ტურში თბილისის დინამოელებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს, დაამარცხეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდი ანგარიშით 85:63.

ამრიგად, უკანასკნელი ტურის წინ მხოლოდ ორი გუნდი — თბილისის „დინამო“ და სოფიის „სპარტაკი“ იბრძოდა დაუმარცხებლად. სწორედ კალათბურთელთა ამ კოლექტივების დასკვნითს ასპარეზობას უნდა გადაეწყვიტა პირველობის საკითხი.

ეს მატჩი შედგა გუშინ. გაიმარჯვეს თბილისელებმა ანგარიშით 74:54 და პირველი ადგილი დაიკავეს.

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲚᲘ ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ

ᲤᲝᲗᲝᲨᲘ წარმატებით გამოსვლის შემდეგ პოლონეთის ქალთა და ვაჟთა ახალგაზრდული ნაკრები გუნდები კალათბურთში საერთაშორისო შეხვედრების გასამართავად ქუთაისში გაემგზავრნენ.

პირველი შეხვედრები სტუმრებს ქუთაისში თბილისის განათლების განყოფილების ქალთა და სახელმწიფო უნივერსიტეტის ვაჟთა გუნდებთან ჰქონდათ.

ორივე მატჩი დამთავრდა პოლონელთა გამარჯვებით. ქალებმა შეხვედრა მოიგეს 50:37, ვაჟებმა — 73:72.

გუშინ ქუთაისში შედგა უკანასკნელი ორი მატჩი. პოლონელებმა დაამარცხეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ქალთა და ქუთაისის ვაჟთა ნაკრები გუნდები 53:39, 54:31.

რედაქტორის მოადგილე
Გ. ᲕᲐᲠᲓᲝᲡᲐᲜᲘᲫᲔ.

25 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲘ: Შ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — აბესალომ და ეთერი (დღისით), დემონი (საღამოს, მე-17 აბონ. მე-10 წარმ.), უკრაინის დნეპროპეტროვსკის ტ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი — ბედი არ უწერია (დღისით და საღამოს რუსთაველის თეატრის შენობაში.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ: 12.00 — „ივარჯიშეთ ჩვენთან ერთად“, 12.15 — მხატვრული ფილმი — „ადმირალი უშაკოვი“, 13.45 — ინგლისური ენის გაკვეთილი, 18.00 — საბჭოთა ახალგაზრდობის დღისადმი მიძღვნილი გადაცემები.

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ:

(მარცხნიდან — ზევით) შეხვედრა თელაველ მოხალვლეებთან; (ქვევით) გომბორის გზაზე; (მარჯვნივ) ა. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ეზოში.

ᲒᲔᲛᲘᲡ ᲛᲝᲓᲔᲚᲘ — ᲡᲐᲩᲣᲥᲠᲐᲓ Ჯ. ᲙᲔᲜᲔᲓᲘᲡ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 23 ივნისი. (საკადესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ჯ. კენედისთან ერთ-ერთი საუბრის დროს ვენაში გაიგო, რომ პრეზიდენტი აგროვებს სხვადასხვა გემის მოდელებს. ნ. ს. ხრუშჩოვი დაპირდა პრეზიდენტს, რომ გაუგზავნიდა ლომვეშაპის ეშვისა და ვეშაპის ძვლის იმ გემების ტიპის ამერიკული იალქნიან-ორთქლის გემის მოდელს, რომლებსაც იყენებდნენ XIX საუკუნის დამლევს ვეშაპთსაჭერად და რომლებიც იმ წლებში შედიოდნენ რუსეთის შორეული ალმოსავლეთის ნავსადგურებში. მოდელი შეასრულა ნიჟეგრმა ჩუკოტკელმა ოვეთნასწავლმა ოსტატმა.

20 ივნისს თეთრ სახლში საჩუქარი გადაეცა ჯ. კენედის. საჩუქართან ერთად ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს გადაეცა ნ. ს. ხრუშჩოვის პირადი წერილი. ამას გარდა, პრეზიდენტის მეუღლის ქ-ნ ჟ. კენედის თხოვნით ნ. ს. ხრუშჩოვმა და ნ. პ. ხრუშჩოვამ მას გაუგზავნეს ძალი „პუშინჯა“ — პირადპირი შთამომავალი „სტრელკისა“, რომელმაც 1960 წლის 19 აგვისტოს განახორციელა ფრენა კოსმოსური ხომალდით და მშვიდობით დაბრუნდა დედამიწაზე.

ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲐᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 22 ივნისი. (საკადესი). სამხრეთ კორეის სამხედრო მთავრობამ გამოაქვეყნა ბრძანებულება „ანტისახელმწიფოებრივი და კონტრრევოლუციური საქმიანობის „ბრალდებათა გამო საქმის განმხილველი“ სამხედრო-რევოლუციური სასამართლოების შექმნის შესახებ, იუწყება სეულიდან რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი. კორესპონდენტის ცნობაში ნათქვამია აგრეთვე, რომ დათხოვნილია ბევრი მაღალ თანამდებობის მოხელე, რომლებიც წინანდელმა ადმინისტრაციამ დანიშნა. დათხოვნილთა შორის არიან უმაღლესი სასამართლოს წევრები, სხვადასხვა სამინისტროს მოხელეები.

ᲣᲒᲣᲜᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲬᲠᲐᲮᲕᲐ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 23 ივნისი. (საკადესი). გაზეთ ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი დ. ფინი ვაშინგტონიდან გადმოცემულ ცნობაში გვაგრძნობინებს, რომ მთავრობას განზრახული აქვს ფრთხილი პოზიცია დაიკავოს სამხედრო ატომური გამოცდების განახლების საკითხში. კორესპონდენტი აღიარებს, რომ ეს „სიფრთხილე“ გამოწვეულია შიშით, რომ ამგვარი ნაბიჯი არახელსაყრელ გავლენას მოახდენს „მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე“.

გაზეთი „დეილი ნიუსი“ სარედაქციო სტატიაში აყენებს კითხვას: „რას უნდა ველოდოთ?“ „რატომ უნდა განვაგრძოთ მოლაპარაკება ჟენევაში ან სადმე სხვაგან? რატომ რაც შეიძლება მალე არ უნდა განვაახლოთ ჩვენი გამოცდები?“.

ᲠᲘᲡᲘ ᲔᲨᲘᲜᲘᲐ ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲡ?

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 23 ივნისი. (საკადესი). სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ა. ზორინის მიერ „ულტიმატუმი“ განცხადება იმის შესახებ, რომ „მოლაპარაკების ერთადერთი მიზანი უნდა იყოს ხელშეკრულების დადება საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში“. ამ სტატიის ავტორი ცდილობს წარმოქმნას შთაბეჭდილება, თითქოს საბჭოთა დელეგაცია ვაშინგტონს ჩაჩოვიდა არა ორსებითად მოლაპარაკების საწარმოებლად, არამედ რაღაც „ულტიმატუმების“ წამოსაყენებლად.

მაგრამ ცნობილია, რომ არავითარი „საბჭოთა ულტიმატუმი“ არ არსებობს. ერთადერთი, რასაც ნიადაგ ეს ერაფგოდა და ესრაფვის სსრ კავშირი, — ის არის, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის აზრთა გაზიარებამ გამოიწვიოს შეთანხმება საყოველთაო და სრული განიარაღების ძირითად პრობლემებზე.

საბჭოთა კავშირ-აქერიკის ახლანდელი აზრთა გაზიარების სწორედ ამ ორი მიზნის შესახებ თათბირობდნენ 1961 წლის მარტში სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ე. სტევენსონი ნიუ-იორკში, რის შესახებაც მათ მაშინვე განაცხადეს თავიანთ გამოსვლებში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ ასამბლეაზე.

რასაკვირველია, არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ შეერთებული შტატები ამჯობინებდნენ შეეხუფდათ ვაშინგტონში მიმდინარე აზრთა გაზიარება მხოლოდ შეთანხმებით იმ მომავალი ორგანოს შემადგენლობის შესახებ, სადაც შემდგომ განიხილავენ განიარაღების პრობლემას, და ამ ორგანოს მუშაობის პროცედურის შესახებ ისე, რომ არსებითად არ განიხილონ საკითხი და განიარაღების რაიმე კონკრეტული გეგმა. ეს პირადპირ აღიარებულია „სტარის“ ზემოხსენებულ სტატიაში.

ნაცვლად არსებითი საუბრისა განიარაღების მოწინააღმდეგეებს სურთ მხოლოდ შექმნან კიდევ ერთი კომიტეტი და განაგრძონ იქ. ბრავალი წლის უნაყოფო კაენი, რომელსაც ხალხებს წარმოუსახავენ „მოლაპარაკებად“ განიარაღების შესახებ.

მაგრამ ეს ნიშნავს იმას, რომ კვლავ დაადგენენ ხალხთა მოტყუების გზას. ამიტომ საბჭოთა კავშირი ესწრაფვის ისეთ აზრთა გაზიარებას, რომელიც უწინარეს ყოვლისა უზრუნველყოფდა იმას, რომ მკვდარი წერტილიდან დაძრას საკითხის არსი, ესე იგი განიარაღების პრობლემის გადაჭრა.

აქერიკის პრესას კი ეშინია უთხრას ეს ამერიკის შეერთებული შტატების ხალხს და ამახინჯებს სსრ კავშირის პოზიციას მოლაპარაკებაში. ამ კამპანიაში თავისი წვლილი შეიტანა ცნობილმა პუბლიცისტმა ჯეიმს რესტონმაც, რომელიც იჩემებს ობიექტური ეერნალისტის რეპუტაციას. მაგრამ, როცა საქმე განიარაღებას შეეხება, როგორც ყოველწლიურად ჩანს, ბ-ნ რესტონს, ისევე, როგორც მის ნაკლებ ცნობილ ამერიკელ თანამოკალმეებს, აგრეთვე არ ძალუძს (ან რეკომენდებული არა აქვთ) სიმართლით გააშუქონ საკითხის არსი. მაგალითად 21 ივნისს „ნიუ-იორკ ტაიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიაში რესტონი პირდაპირ ამახინჯებს საბჭოთა პოზიციას, როცა ამტკიცებს, რომ თითქოს საბჭოთა კავშირი თანხმდება განიარაღებისადმი კონტროლს, ჩხოლოდ „მას შემდეგ, რაც ყოველი ქვეყანა მოსპობს მთელ თავის იარაღს“.

რესტონი ორიგინალური როდია. მან მხოლოდ კიდევ ერთხელ გაიმეორა ის, რასაც მანამდე არაერთხელ ამტკიცებდა განიარაღების შესახებ საბჭოთა კავშირის პოზიციის უამრავი შემრყვნელი. სინამდვილეში ყველასათვის ცნობილია, რომ საბჭოთა მთავრობის პოზიცია სულ სხვაა, ეს პოზიცია ერთხელ კიდევ განმარტა საბჭოთა მთავრობის ნ. ს. ხრუშჩოვმა 15 ივნისის გამოსვლაში, ნ. ს. ხრუშჩოვი ამბობს:

„ერთხელ კიდევ ვიმეორებ: საბჭოთა კავშირი მტკიცე და ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის მომხრეა. ჩვენ მზად ვართ დავეთანხმოთ თქვენს წინადადებებს კონტროლის შესახებ, ბატონო აქერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტო, მაგრამ ეაეთანხმეთ ჩვენს წინადადებებსაც საყოველთაო და სრული განიარაღების შესახებ. და მაშინ არ იქნება არავითარი ჩიხი განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაში.

ჩვენ გვინდა პატიოსანი განიარაღება, გვინდა უზრუნველვყოთ თანაბარი პირობები ყველა სახელმწიფოსათვის, როცა განიარაღება მოხდება, რათა ვერავინ და ვერასოდეს ვერ გამოიყენოს განიარაღება იმისათვის, რომ თვითონ მიიღოს სარგებლობა სხვა ქვეყნების უშიშროების საზიანოდ“.

თუ კი ნამდვილად სურთ განიარაღება, მაშინ ასეთ შემთხვევაში შეერთებულ შტატებს რატომ დასჭირდათ საკითხის გამეხდოვანება სხვადასხვა პროპაგანდისტული ხრიკებით?

ამერიკის პრესა აგრეთვე ამტკიცებს, რომ ორივე მხარის თანხმობით უკვე დანიშნულია განიარაღების საკითხთა განსახილველი ახალი ორგანოს მუშაობის დაწყების ვადა — სახელდობრ 31 ივლისი, საკითხის ასეთი დაყენებაც გაოცებას იწვევს.

ᲗᲔᲗᲠ ᲡᲐᲮᲚᲨᲘ ᲗᲐᲗᲑᲘᲠᲝᲑᲔᲜ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 23 ივნისი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯ. კენედმ დღეს თეთრ სახლში მოიწვია ეროვნული უშიშროების საკითხთა თავისი უმაღლესი მრჩეველებისა და დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელების (კონგრესში) თათბირი.

როგორც თეთრი სახლის პრესის საკითხთა მდივანმა სელინჯერმა განაცხადა, თათბირი განიხილავს „საკითხთა ფართო წრეს“, მათ შორის ბერლინის საკითხს.

ᲞᲠᲝᲤᲝᲙᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲤᲠᲔᲜᲐ ᲒᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 23 ივნისი. (საკადესი). „უ-2“ კვლავ დაფრინავენ“ — ასეთი სათაურით ინგლისური გაზეთი „ივნინგ ნიუსი“ ბეჭდავს კენდოლ მაკდონალდის კორესპონდენციას სმაგლერსკოუვიდან (ალასკა). „პარი პაუერსის ინციდენტიდან 13 თვის შემდეგ, — წერს კორესპონდენტი, — ეს თვითმფრინავები „საგულისხმო მუშაობას „ასრულებენ ალასკაზე“. ისინი დაფრინავენ სანაპიროს გასწვრივ საბჭოთა ტერიტორიიდან სულ 55 მილის დაშორებით და „საბჭოთა ტერიტორიის ფოტოგადაღება კუთხით მათთვის სიძნელეს არ წარმოადგენს“...

ავტორის სიტყვით, თვითმფრინავები აფრინდებიან კალიფორნიის ბაზიდან და მეთრინავენ ჩრდილოეთ ატლანტიკით, კანადით და ალასკით.

„ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ“ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲐᲓ

ᲐᲗᲔᲜᲘ, 23 ივნისი. (საკადესი). გუშინ საერთაშორისო დედაქალაქში ხელი მოაწერეს საერთაშორისო-ამერიკის შეთანხმებას. შეთანხმებით ამერიკა მიმდინარე წლის განმავლობაში „დახმარების“ სახით საბჭოთა მიაწვდის 15,6 მილიონი დოლარის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ნამეტს, ეს შეთანხმება, წერს გაზეთი „ავგი“, მძიმე დარტყმას მიაყენებს საბჭოთა სოფლის მეურნეობას, რომელიც უამისოდაც განიცდის კრიზისს, ვინაიდან ამერიკული პროდუქტები კონკურენციას გაუწევენ საბჭოთა პროდუქტებს. ეს გამოიწვევს ბევრი ადგილის მეურნეობის გაჩანაგებას.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲑᲡ

ᲤᲘᲜᲔᲗᲘ-საბჭოთა კავშირის საზოგადოების მიწვევით მსოფლიოს პირველი კოსმონავტი საბჭოთა კავშირის გმირი ი. ა. გაგარინი უახლოეს დღეებში ეწვევა ფინეთს, სადაც საპატიო სტუმრად დაესწრება საბჭოთა კავშირ-ფინეთის მეგობრობის დღესასწაულს.

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 23 ივნისი. (საკადესი). გუშინ საღამოს კანაველალის კონცხიდან (ფლორიდის შტატი) განხორციელდა გაუმჯობესებული ბალისტიკური რაკეტა „ატლასის“ გაშვება, რომელსაც უნდა დაემყარებინა გაფრენის სიშორის რეკორდი.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის საგენტო იუწყება, რომ გაშვებიდან ორი წუთის შემდეგ რაკეტა აფეთქდა.

საგენტო აღნიშნავს, რომ ეს უკვე მეშვიდე შემთხვევაა, როცა „ატლასის“ მოდელის გაუმჯობესებული რაკეტის გაშვება მარცხით დამთავრდა. სულ განხორციელდა ათი გამოცდა.

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲑᲡ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ Ქ. № 14, ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ: ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲔᲚᲔᲑᲘᲡ—3-63-03, ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲘᲜᲔᲑᲘ—3-72-50, ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲜᲝᲑᲐ —3-81-65, ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ: ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ, ᲛᲠᲩᲕᲔᲚᲝᲑ